№ 2878
ოთხშაბათი,
3 აგვისტო.

ცნობის ფურცელი

№ 2878
ოთხშაბათი,
3 აგვისტო.

[illegible] ღირს: [illegible]—3კ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერნი, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ამ ფურცლის გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით**—5 **კაპ.**

შექსპირის თხზულებანი ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი.
„**რიჩარდ**“, „**მაკბეტ**“, „**კორიოლან**“, „**იულიუს კეისარი**“, „**ანტონი და კლეოპატრა**“, „**ოტელლო**“ თვითო წიგნაკებად იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია, განდეგილის თარგმანი „ვაი ჭკუისაგან“ (დრამატიულ საზოგადოების გამოცემა). (3—უ.—3)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.**
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობ. სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—72)

გაღმა რესტორანი ბაღით
„კავკაზი“
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება: ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არაყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—8).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (80—5.—9)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზის ქუჩისა (№ 82) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—10. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
1 აგვისტო.

პეტერბურგი, 1 აგვისტო. ლინევიჩის დეპეშა 31 ივლისის თარიღით: „საღამოს უკუ-ვაქციეთ იაპონელები, რომელთაც 29 ივლისს წინ გამოილაშქრეს იანდილინის უღელ-ტეხილისაკენ; მათ ვერ მიაღწიეს უღელტეხილს. გუშინ დილიდანვე აღმოაჩინეს იაპონელების ახალი გამოლაშქრება მანდარინის გზის რაიონში და აგრეთვე რკინის გზის დასავლეთითაც. იაპონელებმა წაიწიეს წინ იანდილინის უღელ ტეხილამდე და მდ. შიხუზანის ხეობის სამხრეთის განაპირა ადგილებამდე, მაგრამ დილის 11 საათზე უკუქცეულ იქმნენ. რკინის გზის დასავლეთისკენ ლაშქრად წასულნი-კი უფრო ადრე იქმნენ უკუ-ქცეული კაზაკების მიერ და წავიდნენ თავიანთ პოზიციებისკენ.“

სიტიაზა, 1 აგვისტო. იაპონელებმა დაიჭირეს იანდილინ-ენხუნგაის უღელტეხილი, მაგრამ შემდეგ აღარ განუახლებიათ ლაშქრად წამოსვლა. 30 ივლისს საღამოს მტერმა მიწის საფრების კეთება იწყო. ჩვენებს უჭირავთ გორაკები გუიუშის სამხრეთით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ლაშქრობას მიზნად ადგილების დათვალიერება და მტრის ცნობა აქვს, ვინაიდან იაპონელების მთავარი ჯარები რაღაც მკრთალად მოქმედებენ ჩვენის წინა რაზმების წინააღმდეგ.

პორტ-სმუტი, 1 აგვისტო. ოფიციალურად აუწყეს, რომ ზავის პირობების პირველ პუნქტის განხილვა დასრულდა და შეუდგნენ მეორე პუნქტის განხილვას. პირველი პუნქტი შეეხება კორეის მდგომარეობას.

ტოკიო, 1 აგვისტო. „ნიჩინიჩი-შიმბუნი“ ამბობს, იაპონიის პირობები ზომიერია; თუ მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა, რუსეთი იქნება პასუხის მგებელიო. „ასაჰი“ ამბობს, რუსეთი სცდება, როცა ფიქრობს, რომ იაპონიისთვის ზავი მოახლოვებულ დალუპვისაგან გამომხსნელია და ამიტომ აქვს მისი ჩამოგდების სურვილიო. თუ ასეთის შეხედულებით იხელმძღვანელა რუსეთმა, ის არ მიიღებს იაპონიის პირობებს და ამიტომ, გაზეთის აზრით, სუსტია იმედები კონფერენციის კარგად დაბოლოვებისაო.

პორტ-სმუტი, 1 აგვისტო. შაბათის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ ვიტტემ განაცხადა: იაპონიას სურვილი აქვს კორეია იაპონიის პროვინციად გარდაქმნას; რუსეთს არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ იაპონიამ პირდაპირ აღიაროს თავისი გულნადები. იაპონიის მისწრაფება კორეიაში ეწინააღმდეგება ევროპისა და ამერიკის ინტერესებს, მაგრამ თუ-კი სახელმწიფოები არ გამოედავებიან, იმ შემთხვევაში რუსეთიც მათი მიმყოლი იქნებაო. კომურამ ენერგიული, თუმცა-კი ძლიერ დაყვავებითი პასუხი მისცა ვიტტეს და აღნუსხა, რომ იაპონიას კორეიაში მხოლოდ სავაჭრო და სამრეწველო ინტერესები აქვს და მიისწრაფვის კორეის ადმინისტრატიულ ანარქიის ბრჭყალებიდან გამოხსნისკენაო.

ქრისტიანია, 1 აგვისტო. პირველ საათზე 501 ოლქში 321,197 კაცმა მისცა ხმა უნიის დარღვევისთვის, წინააღმდეგ 161-მა. სტორტინგი 6 აგვისტოსთვისაა მოწვეული.

ადესსა. სამხედრო-საოლქოს სასამართლოს პროკურორის ამხანაგი საკასაციო პროტესტს აძლევს ჭალშერინისა, ფეილკისა და დაშვეს შესახებ.

კოსტრომა. ყველა ფაბრიკა მუშაობს. უკანასკნელ სხდომაზე საბჭომ უკმაყოფილება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ მეფაბრიკენი გულგრილად ეკიდებიან გაფიცულ მუშებს.

ელისავეტგრადი, 1 აგვისტო. „გოლოს იუგა“ შეიძინა ადგილობრივმა ერობის მოღვაწემ გორშკოვმა. რედაქტორად ისევ სალოვიოვი დარჩება.

ლონდონი, 1 აგვისტო. საფრანგეთის ესკადრა დილით ნელ-ნელა დაიძრა პორტ-სმუტიდან. ნაპირზე შეიკრიბა აუარებელი ხალხი და აღტაცებით აცილებდა თვითეულ გემს. ადმ. კაიარმა „რეიტერ“-ის წარმომადგენელს უთხრა, რომ ის გულწრფელ მადლობას აცხადებს საფრანგეთის ფლოტის გულ-მხურვალედ მიღებისთვის.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს-გან“
1 აგვისტო.

ნიუ-კასტლი, 1 აგვისტო. ვიტტემ სთქვა, შაბათს იაპონელებმა არ მოგვცეს პასუხი, მაგრამ წარმოადგინეს კონტრ-წინადადება, 12 პუნქტისაგან შემდგარი, რომლის განხილვა, სულ რომ ცოტა, 3 კვირას გასტანსო. დღემდე განიხილეს მხოლოდ პირველი პუნქტი. კვირას სხდომა არ შესდგა, ვინაიდან ვიტტემ შაბათს, საღამოს ცხრა საათზე, წარუდგინა იაპონელებს წინადადება, რომელსაც ისინი ჯერ კიდევ იხილავენ. იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთს განზრახვა აქვს დაუთმოს მანჯურიის გზა, ამერიკელები შემდეგზე უთითებენ: რუსეთის საელჩო. ამას წინად ითხოვა, ცნობა შეეკრიბათ ვაშინგტონის არხივებში იმის შესახებ, თუ რამდენად დაიფასა საფრანგეთმა რკინის გზები ელზასსა და ლოტარინგიაში კონტრიბუციის მიცემის დროსო.

ტოკიო, 30 ივლისი. წყლიდან ამოიღეს რუსის კრეისერი „პალადა“.

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. კვირისთვის დანიშნული სხდომა არ შესდგა არა რელიგიოზურ მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ ვიტტემ მოითხოვა, კორეის შესახებ მოთხოვნების ტექსტი უფრო დაწვრილებითა და გარკვეულად იქნეს შედგენილიო. ვიტტემ თავისი პირობები წარუდგინა კომურას კორეის შესახებ. ეს პროექტი, ავტორის აზრით, ორსავე მხარეს დააკმაყოფილებს. კომურამ ვიტტეს პროექტი ტელეგრაფით გადასცა ტოკიოში.

პორტ-სმუტი, 1 აგვისტო. დღემდე მომხდარ სხდომებზე რწმუნებულთ ერთხელაც არ ულაპარაკნიათ ზავის პირობებზე. სხდომების წეს-რიგი შემდეგია: რწმუნებულნი პირველად პრინციპიალურად განიხილავენ იმ საკითხებს, რომელთაგან შესდგება ოქმის ძირითადი პუნქტები, ეს უკანასკნელები-კი განხილულ იქმნება ზავის პირობებად.

პარიზი, 1 აგვისტო. პორტ-სმუტიდან მოსულ ცნობებით, იქ ოპტიმიზმი სუფევს. კარგად გაგებულ წრეებში იმ აზრისა არიან, რომ ორივე მხარეზე გარედან აქვთ გავლენაო.—იაპონიის რამდენიმე გემი შევიდა ოხოტსკის ზღვაში, ჩასძირა ორი იალქნიანი გემი და ყუმბარები ესროლა მთავრობის გემს, რომელმაც თავი პორტში შეაფარა. კაპიტანი და 8 მატროსი ზოგი მოჰკლეს, ზოგიც დასჭრეს. ეშინიათ იაპონელების გადმოსვლისა ნაპირზე.

ჩიტა. ინკოუსთან ლიანდაგიდან გადავარდა იაპონიის სამხედრო მატარებელი. დაჭრილი და მოკლულია 150 სალდათი. რელსებზე დინამიტი იპოვნეს, რაც ეჭვს ბადავს ბოროტ-განზრახვის შესახებ.

ნიუ-იორკი. სწორედ იმ დროს, როცა რუზველტი ვილკესბარრეში აპირებდა წასვლას, მას მუქარის წერილი მოუვიდა, რომ მატარებელს ააფეთქებენ. ამიტომ საიდუმლოდ შესცვალეს მის მოგზაურობის წეს-რიგი და ძლიერ სასტიკი ზომები მიიღეს.

სიმფეროპოლი. ერობის საბჭოს სმოსან-ებრაელებმა ხელი აიღეს თავიანთ ვალდებულებაზე. საბჭომ მწუხარება გამოსთქვა.

მოსკოვი. ოფიციალურ ცნობებით, გოდოკოდამსკში 29 ივლისს ცეცხლმა 40 მამული გადასწვა.—სადგურ მოსკოვზე გაჰქურდეს პეტერბურგის ფოშტარი ალექსანდროვი და წაართვეს 10 ათასი მან.—ბრესტის გზაზე მესამე კლასის მგზავრებმა ძალზედ სცემეს ქურდს, რომელიც სცდილობდა ერთის მგზავრისთვის ჯიბიდან ფულები ამოეღო. ქალაქის გამგეობა ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში ხსნის რამდენიმე წიგნთ-საცავს.

კიევი, 1 აგვისტო. დილით იპოვნეს თავის ბინაზე მოკლული სამხედრო ექიმის ქვრივი ბუიალსკაია. მკვლელობის მიზანი—გაძარცვაა.

ხარკოვი. ორთქლ-მავლთა ქარხანამ, სამის დღის შეჩერების შემდეგ, განაახლა მუშაობა. მუშაობა განაახლეს სხვა ქარხნებშიაც.

ბელოსტოკი. მტკნარი სიცრუეა, ვითომ პატრულებისთვის ესროდათ გზაჯვარედინიდან და სახლებიდან, ვითომ მოკლეს სალდათი ზელდენი ქუჩაში და ესროდათ პოლიცმეისტერსა და ჟანდარმთა როტმისტრისთვის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მოლაპარაკება ზავზე. „პოლიტ. კორესპონდენც“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: ‚აქაურ პოლიტიკოსთა წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნიერობა მალე გაიგებს, ზავით დასრულდება პორტ-სმუტში გამართული მოლაპარაკება, თუ არაო. ცხადია, სტატს-სეკრეტარი ვიტტე ჰნახავს თუ არა იაპონიის პირობას, მაშინვე შეატყობს, შესაძლებელია შეთანხმება, თუ არა. ეს პირველ დღეებშივე გამოჩნდება და, თუ მოლაპარაკება პორტ-სმუტში რამდენისამე დღის შემდეგ არ შესწყდება და პირიქით გაგრძელდება, ყველანი დარწმუნდებიან, ზავის ჩამოგდება შესაძლებელი საქმე ყოფილა, გინდ მოლაპარაკებაზე არავითარი ცნობაც არ გამოაცხადონ. ეგაა, გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ მოლაპარაკება მთლად მეომარ სახელმწიფოების ხელში იქმნება; დიპლომატთა წრეებს შეუძლებლად მიაჩნიათ სხვა სახელმწიფოების გარევა; დიპლომატთა აზრით იაპონიას ვერავინ დაატანს ძალას და მოთხოვნილებას ვერ შეამცირებინებს. („ს.“).

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან აქაურ დიპლომატებმა აზრი შეიცვალეს და ეხლა უფრო მეტი იმედი აქვთ ზავის ჩამოგდებისა. ამ ცვლილების მიზეზია ვიტტეს დეპეშები. ვიტტე უფრო სანუგეშო ამბებს იწერება ამერიკიდან, ვიდრე აქ მოელოდნენ. პრეზიდენტ რუზველტთან საუბარს იმედი მიუცია ვიტტესათვის, რომ იაპონიასთან შეთანხმება შეუძლებელი არააო. კორესპონდენტი ირწმუნება, ვიტტეს ფართო უფლება აქვს მიცემულიო. („ს. ოქ.“).

რუსეთისა და ამერიკის დელეგატების მიღება. პორტ-სმუტიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-ს: პორტ-სმუტში ბევრი ახალგაზრდა ქალი მოვიდა ახლო-მახლო ადგილებიდან. ქალები იმ სასტუმროს წინ შეიკრიბნენ, სადაც დელეგატები უნდა მოსულიყვნენ და იაპონიას ქების სიმღერები უმღერეს.

ბერლინში დეპეშა მიუღიათ: როცა დელეგატები „ჰოტელ უენტვორტ“-ში მივიდნენ, საზოგადოებამ, მომეტებულ ნაწილად, ქალებმა, რუსებს სუსტად დაუკრა ტაში, იაპონელებს კი საშინელის აღტაცებით მიეგებაო. („რ.“).

რამდენი რუსი დაატყვევეს სახალინზე. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „ლოკალ ანცაიგერ“-ს: იაპონელებმა სახალინზე სულ 4,200 რუსი დაატყვევესო. („ნ. დ.“).

სამხედრო მოქმედება. „პტი პარიზიან“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში რუსეთის სამხედრო მთავარშტაბში მითხრეს: თუმცა ერთის მხრივ, ჩვენ არა გვჯერა, რომ იაპონელებმა მანჯურიაში წინ გამოილაშქრონ, მაგრამ, მეორეს მხრით, ჩვენ ვიცით, რომ იაპონელები მალე დიდ ჯარს გადაიყვანენ ვლადივოსტოკიდან ასე 50 ვერსტზე, ჩრდილოეთით; ამავე დროს ჩრდილოეთ კორეიდანაც წინ გამოილაშქრებენ და ხმელეთიდან ალყას შემოარტყამენ ვლადივოსტოკს; ზღვიდან ხომ, რამდენიმე თვეა, რაც ალყა არტყამს ვლადივოსტოკს. იქნება იაპონელებმა ჯერ რუსის სამფლობელოში ბაზა დაიჭირონ, რომ მერე ამ ადგილიდან წინ გაილაშქრონ, თუ ზავზე მოლაპარაკება დაიშალა. ალბად, ვლადივოსტოკის ახლოს გადაიყვანენ სადმე ჯარსა. ჩვენ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ ჯარის გადმოყვანას, რადგან იაპონიის ფლოტი ზღვაში უცილობლად ბატონობს და იაპონელებს ადვილად, თავიანთ ნებაზე შეუძლიათ ჯარის გადაყვანა სუსტად გამაგრებულ სანაპირო ადგილებში. („რ.“).

იაპონიის ჯარის წესები. რუსის სამხედრო ექიმმა ბროდოვიჩმა, ტყვეობიდან დაბრუნებულმა (მუკდენში დარჩა სხვა ექიმებთან ერთად), საინტერესო წერილი დაბეჭდა „რუს. ვედომოსტ“-ში იაპონიის ჯარზე. ბროდოვიჩი სხვათა შორის სწერს: იაპონელებმა მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე. იმათში, ეტყობა, არც ერთი არ ურევია, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. ყველანი ჰკითხულობენ და სწერენ. ყოველ აფიცერსა და უნტერ-აფიცერს და ბევრ სალდათსაც ხელზე ტყავის სამაჯურში საათი და კომპასი აქვს; ჯიბეშიაც მანჯურიის დაწვრილებითი კარტა; ამას გარდა, ხელსახოცებზეც კარტები აქვთ დახატული, თუმცა ეს კარტები ისეთი დაწვრილებითი აღარაა, მაგრამ რკინის გზა და ყველა დიდი სოფელი მაინცაა აღნიშნული. ყველას მშვენივრად აცვია: ფეხთ სუმბუქი ბაშმაკები აცვიათ, მუხლამდე ფეხზე რბილი მატყლის პაჭიჭი აქვთ შემოხვეული; შავი ერთ-ბორტიანი მუნდირი და შავი შალვარი, შავი სუმბუქი პალტო, პატარა ქუდი და აქლემის მაუდის საზამთრო შინელი (ზამთრის ტანისამოსია აწერილი) ბეწვის საყელოთი. მთელი ტანისამოსი სუმბუქი, ხალვათი და მოხდენილია. რანეცში ყველას უწყვია რამდენიმე ღია წერილი, უბის წიგნი, ფოშტის ქაღალდი, კონვერტი, საწერ-კალამი, ორი წყება საცვალი, კბილის საწმენდი („ჩოტკი“) და ფხვნილი. ყველა სალდათი დღეში ორჯერ იწმენდს კბილებს.

სიცივეს იაპონელები მშვენივრად იტანენ, ფეხები ძლიერ იშვიათად ეყინებოდათ. ყველას საკმაოდ სავსე ტანი აქვს, ყველანი მაძღრები და მხიარულები არიან. სისუფთავე ყველას უყვარს უკლებლივ. ჩვენის ბარაკიდან ვხედავდით, რომ ზამთარში, თებერვალსა და მარტის დამდეგს, გარედ ცას ქვეშ ბანაობდნენ. ბამბის საცვლებს გარდა ყველა იაპონელს ეგვრის მატყლის ტანისამოსი აცვია. ჩვენისა და იაპონელ სალდათის ჩაცმის განსხვავება მაშინ უფრო ცხადად სჩანდა, როცა დაჭრილებს ტანისამოსს ვხდიდით ხოლმე იარების შესახვევად. ჩვენი სალდათის ტანისამოსის გახდა მეტად ძნელია; ხშირად მოგვიხდებოდა ხოლმე წაღებისა და შალვრის გაჭრა, ხანდახან შინლისა, მუნდირისა და ტყავისაც, რადგან ყველაფერი ვიწროდ ადგას და ტანზე აქვს მიკრული. იაპონელები-კი ბრძოლა კაკალივით გამოდიოდნენ ტანისამოსიდან.

ტანისამოსს იარის მორჩენაზე აქვს გავლენა. ჩვენ სალდათებს, ზამთარში ვინც დასჭრეს, ყველას დაუჩირქდა იარა; ნატყვიარში ყოველთვის ვპოულობდით ტყავიდან გამოგლეჯილ მატყლის ბღუჯას, მთელი იარა სავსე იყო ხოლმე მატყლით; იაპონელის ჭრილობაში კი მხოლოდ ეგვრის ფუფაის პერანგის, ან შალვრის მატყლის პატარა ძაფი თუ შეგვხვდებოდა, ამიტომ ამათი იარა უფრო სუფთა იყო და უფრო მალე ურჩებოდათ.

იაპონელი აფიცრები განათლებული, გონიერი ხალხი არიან, სალდათების უფროსი ამხანაგები და ხელმძღვანელნი; დისციპლინაც ამნაირად ესმით. ერთხელ ჩვენ საავადმყოფოსთან იაპონელი აფიცერი მოვიდა; აქ მდგომი სალდათები გამოიჭიმნენ. აფიცერმა სამხედრო სალამი მისცათ. მერე, აფიცერმა ლაპარაკი დაგვიწყო და პაპიროსს მოუკიდა. ერთი სალდათი მოვიდა და ცეცხლი სთხოვა; აფიცერმაც ზრდილობიანად უთავაზა ცეცხლი. რამდენიმე წამის შემდეგ ამ აფიცერმა იმავ სალდათს რაღაცა უბრძანა; სალდათი გაიჭიმა, სამხედრო სალამი მისცა აფიცერს და დაუყოვნებლივ შეასრულა მიღებული ბრძანება.

რომ აფიცრები და ექიმები უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ სალდათებს, ყველანი მოვალენი არიან ერთის ქვაბიდან სჭამონ კერძი. ჩვენ ნაცნობ იაპონელ აფიცრებს უკვირდათ, რომ ჩვენშიაც არა ყოფილა ასეთი წესი. სანამ იაპონელებთან ვიყავი, ერთი მთვრალი არ დამინახავს. იაპონელები საკისა და გამობარ იაპონურ ღვინოსა ჰსვამენ, მაგრამ დამთვრალი, გაჭირვეულებული და უფროსებთან თავხედად მოლაპარაკე ერთხელაც არავინ მინახავს. იაპონელმა ექიმებმა გვითხრეს, ლოთობა არაა გავრცელებული იაპონიაშიო.

ქურდობა და ხაზინის ძარცვა, ეტყობა, შეუძლებელი უნდა იყოს იაპონელებში, რადგან, რომელსამე ადგილას მისვლის უმალვე, იაპონელები მაშინვე ფასს უნიშნავენ უკლებლივ ყველა საქონელსა და საგანს და არავის არ შეუძლია დანიშნულ ფასზე მეტი ან ნაკლები მისცეს ნაყიდ საქონელში.

სანამ მუკდენი რუსის არმიის ხელში იყო, ქალაქი მუდამ ისე იყო გაჭედილი პოვოზკებით, ცხენოსნებითა და ქვევითად მოსიარულეებით, რომ ქუჩებში გავლა შეუძლებელი იყო. მოვიდნენ თუ არა, იაპონელებმა ყველას, თვით აფიცრებსაც აუკრძალეს ნებადაურთველად ქალაქში წასვლა; ჩვენც ვიღებდით ამნაირ ნებართვას, როცა ქალაქში სავაჭროდ წასვლა გვჭირდებოდა ხოლმე.

ინკოუს გზაზე იაპონელების ქარავნები შეგვხვდა. ცხენები კარგი ჰყავდათ, ლამაზი, სუმბუქი და, ეტყობა, მაგარი ორ თვლიანი [illegible] ჰქონდათ; ტვირთიც მშვენივრად იყო ზედ დადებული. ყველა ბანაკში სამაგალითო სისუფთავე იყო. ყველაფერში გონივრობა, შეგნება და ორგანიზაცია სჩანდა.

იაპონელებს სრულობით არა აქვთ რუსის ხალხის სიძულვილი. მუკდენში ჩვენი სანიტარები ეთამაშებოდნენ იაპონელ სალდათებს, ეჭიდებოდნენ, ერთმანეთთან სტუმრად დადიოდნენ, ერთმანეთს ღვინოსა და ტკბილეულს სთავაზობდნენ, სხვა და სხვა საგნებს უცვლიდნენ, უმთავრესად ღია წერილებს.

იაპონელებს კარგად შეუსწავლიათ რუსეთის შინაგანი პოლიტიკა და მდგომარეობა.

ფინლანდიისა, კავკასიისა, პოლონეთისა და ურიების საქმეზე გველაპარაკებოდნენ ხოლმე; მალოროსიის მოძრაობაზეც გვეკითხებოდნენ. ეტყობა, სანამ ომს დაიწყებდნენ, საფუძვლიანად შეუსწავლიათ რუსეთი. („რ. ვედ.“).

ავადმყოფობა რუსის ჯარში. „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ გუნჩულინიდან: გენ. ლინევიჩმა ბძანებით მიჰმართა არმიის უფროსებს და სთხოვათ, რაც შეიძლება ბეჯითი ღონისძიება მიიღეთ, რომ სალდათებში გავრცელებული სტომაქით ავადმყოფობა შევაყენოთო. სალდათებს გემრიელი და ნოყიერი საჭმელი აძლიეთ, თორემ ავადმყოფობა თან და თან ძლიერდებაო.

„რუსკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილია: „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყებოდა ამას წინად, რუსის ჯარში მოარული სენი მძვინვარებს და საოცრად ბევრი ხალხი იხოცებაო; ვითომ, მაგალითად, ხარბინში 100 ავადმყოფიდან ყოველდღე 40 კაცი კვდებაო. რუსის ჯარის მთავარ-სარდალი აცხადებს, რომ „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობას არავითარი ფაქტიური საფუძველი არა აქვსო.

ვითომ რეფორმა

„ცნობის ფურცლის“ მკითხველებმა იციან, რა თვალით შევხედეთ კავკასიის ოლქის მზრუნველის მიერ განზრახულ რეფორმას სახალხო სკოლებში. ჩვენ ვწერდით, რომ აჩქარებულად, ბიუროკრატიული წესით შემუშავებული რეფორმა არც სულს არგებს, არც ხორცს; მძიმე ჭრილობას დაჰფარავს მხოლოდ და ვერ-კი მოარჩენსო. ჩვენი წინასწარმეტყველება, თუ შეიძლება წინასწარმეტყველება დაუძახოთ ცხადზე უცხადესს აზრს, ჩვენი წინასწარმეტყველება, ვამბობთ, სრულიად გამართლდა: ოლქის მზრუნველის მიერ მოწვეულმა კომისსიამ შეიმუშავა სახალხო ერთკლასიან სკოლებისთვის ისეთი პროგრამა, რომელიც თვალებს უხვევს ხალხს და ვითომ აკმაყოფილებს იმის სურვილს.

კომისსიის ოქმში სწერია: კომისიის დანიშნულებას შეადგენს: „შეიმუშავოს ერთკლასიან პირველ დაწყებით სკოლებისათვის ისეთი სასწავლო პროგრამმა, რომელიც შეძლებისა დაგვარად სრულიად დააკმაყოფილებს ადგილობრივ მცხოვრებთ და მოუპოვებს სკოლისადმი თანაგრძნობასა“-ო. ასე თამამად სწერს კომისია თავის მიერ შემუშავებულ პროგრამაზე და გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ჭეშმარიტებას ჰლაღადებს. მაგრამ ვიკითხოთ, რა უფლებითა სწერს, რომ მისი პროგრამმა ხალხისათვის სასურველია? როდის დაეკითხა ხალხს ან იმის მიერ ამორჩეულ პირებს? როდის მიიღო ხალხისაგან დასტური შემუშავებულ პროგრამაზე? არასოდეს. მაგრამ განა საჭიროა ხალხს დაეკითხოს ბიუროკრატია, როდესაც სწყვეტს ხალხისათვის დიდმნიშვნელოვან საქმეს? ხალხის დაკითხვა ბიუროკრატიის პრინციპების უარყოფაა და ამას როგორ მოიქმედებს? რა ანგარიშში ჩასაგდებია ის ვითომ და მოძრაობა, რომელმაც დაჰგმო ეხლანდელი სახალხო სკოლები? ბიუროკრატიამ ყური არ ათხოვა ამ მოძრაობას და ათის კაცის საშუალებით გამოაცხო ხალხისათვის სავალდებულო პროგრამები, რომელთა განსახორციელებლად ძველებურად კისრიდან ამოაგლეჯენ ნაწვავ-ნადაგ გროშებს.

ჯანი გავარდეს ხალხს. ვთქვათ, ის მომზადებული არ არის, გაუნათლებელია, რეგვენი, უკიცი, სწავლების საქმეში ანჩი არ ესმის. დავთანხმდეთ ამას. განათლებული, სკოლის საქმის მცოდნე პირები ხომ არ ამოწყდნენ კავკასიაში? რატომ ბიუროკრატიამ არ მოისურვა მათი მოწვევა? რატომ პირში ჩალა გამოავლო კომისსიის თავმჯდომარემ იმ ორიოდე მასწავლებელს, რომელთაც გაჰბედეს და წინადადება შეიტანეს: ვინაიდან საქმე დიდმნიშვნელოვანია, ცუდი არ იქნება შევავსოთ ჩვენი წრე ზოგიერთ სხვა პედაგოგებისა, საზოგადოებისა და პრესსის წარმომადგენელთაგანაო?

პასუხი ცხადია: საჯაროდ გადაქცევა სასკოლო საქმისა ბიუროკრატიისაგან წინადვე შემუშავებულ გეგმის გაშავება და დარღვევა იქნებოდა, ეს-კი ხელსაყრელი არ არის: ბიუროკრატიამ ამჯობინა მოეწვია ვითომ და გამოცდილი და ამორჩეული მასწავლებლები და იმათის საშუალებით დაეკანონებინა თავის მიერვე შეთხზული პროგრამა. კომისიის წევრები მორჩილნი აღმოჩნდნენ და ხელი (იქნება ორივეც) მოაწერეს იმას, რაც უკარნახეს, გარდა ერთისა, ბ-ნ ჭეშმარიტოვისა, რომელმაც გულადობა გამოიჩინა და გაბედა კერძო აზრის შეტანა.

რაც მოხდა მოხდა. ძალა აღმართსა ხნავსო. ეხლა გადავათვალიეროთ ის პრინციპები, რომელიც სარჩულად დაუდო კომისიამ თავის პროგრამას.

„მოზარდ თაობას უნდა გადაეცეს ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტარული ცნობები, უნდა აღიზარდოს და გამტკიცდეს მასში სარწმუნოება და კეთილი ზნეობა. სკოლის ამ მიზნის მიხედვით უმთავრესს საგნებად უნდა დაისახოს: სადმრთო სჯული, სამშობლო ენა, რუსული ენა და ანგარიში“. მნიშვნელობა სადმთო სჯულისა და ანგარიშისა პირველ დაწყებით სკოლის კურსში ყველასთვის ეჭვს გარეშეა; რაიცა შეეხება სამშობლოს და რუსულ ენებს, მათ მნიშვნელობაზედ სხვა და სხვა აზრი ტრიალობს პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ წრეებში. კომისია თავის აზრს ამ უკანასკნელ ორ საგანზედ ამყარებს შემდეგ საბუთებზედ: 1) საუკეთესო პედაგოგები, როგორც რუსეთისა, ისე საზღვარ გარეთისა, ერთხმად აღიარებენ სამშობლო ენის დიდ მნიშვნელობას ბავშვის სულიერ განვითარების საქმეში; ისინი ამტკიცებენ, რომ ბავშვის სწავლება უნდა იწყებოდეს და მყარდებოდეს სამშობლო ენაზედ, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა შეაფერხებს ადამიანის წესიერ განვითარებას; 2) ადგილობრივი საზოგადოება, სულ ერთია რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს, ძლიერ აფასებს სამშობლო ენას და სთვლის მას სკოლისათვის სავალდებულოდ; უნდობლად ეპყრობა იმ პირველდაწყებით სკოლას, რომელშიაც სამშობლო ენა არ არის ყოველისავე ცოდნის საფუძვლად; 3) პირველ დაწყებით სკოლის სასწავლო პროგრამით; რომელიც დამტკიცებული ნამესტნიკის, დიდის მთავრის მიერ, 13 იანვარს 1881 წ., სწავლება პირველ დაწყებით სკოლაში იწყება სამშობლო ენიდან, რომელსაც ასწავლიან მთელის კურსის განმავლობაში და იშველიებენ სხვა საგნების გაკვეთილებზედ; 4) რუსული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, უნდა შეადგენდეს სავალდებულო საგანს სკოლის პროგრამმაში. ამ ენის სარგებლობა და საჭიროება ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ მტკიცდება; ცხოვრება უთითებს რუსულ ენის ცოდნის სარგებლობაზედ და არა ცოდნის ცუდ შედეგებზედ“.

აი, ის პრინციპები, რომელიც წინ წაუძღოლა კომისიამ, როგორც საბუთი, თავის მიერ შემუშავებულ პროგრამას. დავაკვირდეთ და მიუდგომლად გავშინჯოთ, მართლა ეთანხმება და ემსახურება იმ საქმეს, რომლისათვისაც მოწვეული იყო კომისსია: „შეიმუშავოს ერთკლასიან პირველდაწყებით სკოლებისთვის ისეთი სასწავლო პროგრამა, რომელიც შეძლებისადაგვარად სრულიად დააკმაყოფილებს ადგილობრივ მცხოვრებთ და მოუპოვებს სკოლისადმი თანაგრძნობას.“

კომისსიამ, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, ერთხმად მიიღო 13 იანვრის 1881 წ. სასწავლო გეგმის დედა-აზრი: „მოზარდ თაობას უნდა გადაეცეს ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტარული ცნობები; უნდა აღიზარდოს და განმტკიცდეს მასში სარწმუნოება და კეთილი ზნეობა.“ მაგრამ ეს დედა აზრი განა დროს შესაფერისია, ან ეუბნება რასმე ან გონებას ან გულს? რა არის ეს ელემენტარული ცხოვრებისთვის საჭირო ცნობები? რუსეთის სახალხო სკოლის ხანგრძლივმა გამოცდილებამ კარგად დაგვიმტკიცა, რა შინაარსს იგულისხმებდა ეს ცხოვრებისთვის საჭირო ელემენტალური ცნობები. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ცხოვრებისთვის საჭიროთ იყო ცნობილი რუსული ენის გრამატიკა, სლავიანურად კითხვა, პატრიოტულად შეთხზულ ისტორიულ მოთხრობების ცოდნა, ლამაზი წერა საქმიანობის წერილების შედგენა, ზნეობრივ ტენდენციურ მოთხრობების შესწავლა, ლოცვების და ღვთის მსახურების წესების ზეპირად ცოდნა და სხვა ამგვარი. თუ ისევ ამგვარი ცნობები იგულისხმება ეხლაც (ეს კი ჩვენთვის ეჭვს გარეშეა), მაშინ ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ ამ პროგრამის სკოლა დააკმაყოფილებს ხალხს და მის თანაგრძნობას მოიპოვებს სკოლასაო! მხოლოდ ის, ვისაც სურს ჭუჭყიანის ჩვრებით შეუხვიოს დაჭრილს იარა.

განა ცხადი არ არის, რომ პროგრამის შინაარსი ძველი დარჩება, თორემ შეუძლებელია ის დასკვნა, რომელიც კომისსიამ გამოიყვანა სკოლის მიზნიდან: მიზნის მისაღწევად საჭიროა სამშობლო ენა, რუსული ენა, სამღთო სჯული და ანგარიში. უცნაური საშუალებაა. ამ საგნებიდან, ანგარიშის გარდა, არც ერთს საგანს არ შეუძლიან მისცეს მოზარდ თაობას ცხოვრებისთვის საჭირო ცნობები, ელემენტარულიც კი, მართლაც, ენის შესწავლას განა ის მიზანი აქვს, რომ საჭირო ცნობები მისცეს მოსწავლეს? ეს ყოვლად შემცდარი აზრია, ენის შესწავლას თავისი განსაკუთრებული მიზანი აქვს: გახადოს ენა საშუალებად სხვა და სხვა გვარ ცნობების შესათვისებლად. ვინც ენის სწავლებას ურევს რეალურ ცოდნის შეძენასთან, ის ატყუებს ხალხს: არც ენას ასწავლის, არც რეალურ ცოდნას აძლევს. რუსეთის ბიუროკრატიას ეს კარგად ესმოდა და მშვენივრადაც ახორციელებდა სახალხო სკოლებში, საიდანაც მოსწავლეებს წერა-კითხვის ცოდნის მეტი, ისიც უხეიროსი, არაფერი გამოჰქონდათ.

მაშასადამე, თუ რომ სურდა კომისსიას მისგანვე დასახული მიზანი შესრულებულიყო სკოლაში, უეჭველად უნდა შეეტანა განსაკუთრებული საგნები, რომლებიც შესძენდნენ მოსწავლეს ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნას.

დანარჩენ პრინციპებზე შემდეგ.

მასწავლებელი

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 2 აგვისტოს, ტფილისში **ჩამოვიდა საქართველოს ექსარხოსად დანიშნული** ნიკოლოზი. ექსარხოსს ბალაჯარაში მიეგებნენ ნამესტნიკის მდივანი პუშჩინი, დეკანოზი შოშიაშვილი, სიონის კანდელაკი ან. თოთიბაძე. ტფილისის სადგურზე ექსარხოსს დაჰხვდნენ გუბერნატორი, კამენდანტი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე, ქალაქის მოურავი, გენერალი სტახოვიჩი და სხვ. შემდეგ ექსარხოსი ეტლში გენერალ სტახოვიჩთან ერთად სიონის ტაძარში წავიდა. იმ ქუჩებში, სადაც ექსარხოს უნდა გაევლო, იდგა მომეტებული რიცხვი პოლიციელებისა, ჟანდარმებისა და სალდათთა რაზმებისა. წინ მიდიოდა პოლიცმეისტერი, შემდეგ მიდიოდნენ ცხენოსანი ჟანდარმები, მერე ღია ეტლით ექსარხოსი და გენერალი სტახოვიჩი, ბოლოს ყაზახ-რუსთა მთელი სოტნა. ამრიგად მივიდნენ სიონის ტაძარში, სადაც შეკრებილიყო ქალაქის სამღვდელოება ეპისკოპოსის ევთიმის მეთაურობით. იქვე იყვნენ ის დეპუტატები, რომელნიც ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ 31 მაისს აარჩია სხვა და სხვა საქმეების განსახორციელებლად. ექსარხოსს სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ექვთიმემ. გადახდილ იქმნა მცირე პარაკლისი, რომლის დასასრულ სამღვდელოება ხატებითა და ჯვრებით სიონის ტაძრიდან ექსარხოსის ეკლესიაში წავიდა. ყაზახ-რუსთა რაზმი ჟანდარმებითურთ ახლა ექსარხოსის სახლის წინ დარაზმდა. კარის ეკლესიაში ექსარხოსმა მოკლე სიტყვით მიჰმართა სამღვდელოებას. ექსარხოსმა დაახლოვებით სთქვა: ღვთის განგებითა და კურთხევით მე, უცხო კაცი, მოვედი ახალს სამწყსოში; ბევრს შეიძლება ვერ მივხვდე, ბევრი გაუგებარი დამრჩეს, მაგრამ, იმედი მაქვს, ყველანი დამეხმარებით და საერთო ღონით შევასრულებთ ჩვენს წმინდა მოვალეობასაო. როცა ექსარხოსმა სამღვდელოება გაიცნო, წინ წარსდგა ერთი მოხუცი მღვდელი. ამას უნდოდა სამღვდელოების დეპუტატების დავალებით წაეკითხა ადრესი, რომელშიაც აწერილია საქართველოს ეკკლესიის ეხლანდელი მდგომარეობა. მღვდელმა ის იყო კითხვა დაიწყო, რომ ექსარხოსმა შეაჩერა და უთხრა, ეგენი ყველაფერი წაკითხული მაქვს, ვიცი და შემდეგ განვიხილავთო, და ამ სიტყვებით ექსარხოსმა დაწერილი ადრესი ჩამოართვა. ამის შემდეგ ერთი ნაწილი ქალაქის სამღვდელოებისა და სოფლის სამღვდელოების დეპუტატები დაიშალნენ, ხოლო ექსარხოსი შევიდა თავის სასახლეში, სადაც კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეებმა წარუდგინეს წინადვე შეკრებილი გენერლობა და სხვა და სხვა დაწესებულების უფროსნი და მოხელენი. ერთის საათის შემდეგ ექსარხოსი სადარბაზოდ იყო კავკასიის ნამესტნიკთან.

◆ როგორც ხმა დადის, **ეპისკოპოსს კირიონს** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნიშნავენ, ხოლო არქიმანდრიტ გიორგის (ალადაშვილი)—გორის ეპისკოპოსად.

◆ **ბელგიიდან გვწერენ:** „გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ბელგიაში მყოფ ქართველ ამხანაგობას აზრადა აქვს შემწეობა გაუწიოს აქ წამომსვლელ ქართველებს; ამხანაგობა მიაწვდის ყოველგვარ ცნობებს აქაურ უმაღლეს სასწავლებლების და ცხოვრების შესახებ და გაჭირვების დროსაც ქონებრივად დაეხმარება. ქართველთა ამხანაგობა დიდის მადლობით მიიღებს ყოველგვარ დახმარებას თავის სამკითხველოსთვის. ყოველ ცნობებისთვის გთხოვთ მოგვმართოთ: „Бальгія. Bruxelles, rue Scaaron, 31. Sicharoulidzé“,

---

ფელეტონი

კახეთი 1812 წ.

ისტორიული ამბავი.

XV.

მარტის ორსა მთავარ-მართებელმა ჯარი დაასვენა და 3-ს ველის-ციხეს ავიდა. მომეტებული ნაწილი თელავის მაზრის თავად-აზნაურობისა ჩამოეგება თელავიდან მარკიზსა, ცოდვანი მოინანია, ბოდიში მოიხადა და ერთგულობის ფიცი მიიღო.

მეორე დღეს, 4 მარტს, სამხრობისას (3 საათი), მარკიზი თელავს მივიდა, ისე ეჩქარებოდა მთავარ-მართებელს მეციხოვნეთა განთავისუფლება, რომ ქვეითა ჯარი წინანდალში დასტოვა 141) და მცირე ამალით, 50 ყაზახით და რამოდენიმე თავადიშვილით, გაეშურა ციხისაკენ. შეშინებული მეამბოხენი მარკიზის დანახვაზე [illegible]

თელავის ციხის გარემდგომნი, ნაცარქექიასავით რომ იქცეოდნენ, სად იყო ამ დროს გახელ მეამბოხეთა წინამძღოლი, მდივანი თავითარ ქობულაშვილი, რა დაემართა, რასა ჰფიქრობდა, ვერა გავიგეთ-რა. მემატიანე დავითი და არქიმანდრიტი ელევთერი კრონტს არა სძრავენ ოთარზე, არას ამბობენ აგრეთვე კაპიტანი ნოსოვი და თვით მარკიზი პაულუჩჩი. სწორედ საოცარია ასეთი სიჩუმე. ცოტად თუ ბევრად, როგორც ქვემოდ დავინახავთ, შესაწყნარებელია დავითის სიჩუმე, რადგან იმის აზრით მარკიზი თელავს არ ასულა, მაგრამ სრულიად გაუგებარია მთავარ-მართებლის მიერ ასეთი უყურადღებობა. ნუ თუ ოთარის მოქმედება ისე უმნიშვნელო გამოდგა, რომ ხსენებითაც არ ახსენა რუსის მხედრობის სარდალმა მეამბოხეთა ჯარის წინამძღოლი? ალბად ასე იქნებოდა, თორემ როგორ არ შეიტანდნენ მის სახელს რელიაციაში.

მარკიზი გვიამბობს, ჩუმლაყიდან თელავს რომ მივდიოდი, გზა-გზა არავის შეუწუხებივართ. ახლო-მახლო სოფლებიდან გლეხები მოდიოდნენ, ტოლებს აღიარებდნენ და შენდობას ითხოვდნენო. ამგვარადვე მოქცეულან თელავის მაზრის თავადიშვილები. სჩანს, სათავნელი შემოდგომა, ადვილებას რადგან ხუთიოდე კვირა გაუძლეს, ცეცხლი ჩანელებულა და მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრებას უმჯობინებიათ ეკლიან გზაზე სიარულსა და წვიგების დაკაზვას. ასეთი დასკვნა თითქოს სიმართლეს არაა მოკლებული, მაგრამ ხუთი-ექვსის თვის შემდეგ ერთგულობის ფიცმიღებული თავადები ხელახლა გასტეხენ სიტყვას და ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად ამბოხების დროშასააფრიალებენ და რუსის მხედრობას კიდევ შეებრძოლებიან. მიზეზი ასეთის საქციელის ისაა, რომ მოუწყობელ ჯარს დიდხანს არ შეუძლიან ბრძოლა გაწვრთნილ მხედრობასთან, რაც უნდა სუსტი და უვარგისი იყოს უკანასკნელი. აჯანყებულმა ერმა თუ ერთის შეტევით, პირველშივე, ვერ მოახერხა სრულიად განადგურება განწყობილის ჯარისა, აღფრთოვანება ეკარგება და, მაშასადამე, [illegible] ელოდდა. ეს და გენერალი კონსტანტინე მუხრან-ბატონი (ბაგრატიონი) ბრძოლა-გამარჯვებით მოდიოდნენ თიანეთისაკენ. მუხრან-ბატონის კაცები, 30 ოსი, თავს დაესხნენ მეამბოხეთა საყარაულო პიკეტს და მიფანტ-მოფანტეს ყარაულები. რადგან ოსებმა ყარაულებს გზა მოუჭრეს, მეამბოხეთა უმთავრესმა რაზმმა უშაკოვის მოახლოვებისა ვერარა გაიგო-რა და დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. გათენებისას, 5 მარტს, უშაკოვი და მუხრან-ბატონი დაეცნენ მეამბოხეებს და გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. მთელი ოთხი საათი გაგრძელდა [illegible]. მეამბოხეებს [illegible] თიანეთის გზაზე ამორჩეული ადგილი, ოთხ ადგას ხე-ტყეთი ჩახერგილი კლდიანი ფერდობები. ცოტა მოშორებით უფრო ძნელი სიმაგრე ჰქონდათ, ექვს ადგას ჩახერგილი. მეამბოხე ყოფილა ასე 400 კაცი. უშაკოვმა იერიშებით აიღო როგორც პირველი, ისე მეორე სიმაგრე. იძლივნენ მებრძოლი მამულიშვილნი და გაიქცნენ თავის საშველად. გზები არ ვარგოდა, ვიწრო ბილიკები იყო კლდეებზე და, მარკიზის სიტყვით, ბევრი მათგანი გადიჩეხა კლდეზე. სიმაგრეებში რუსებს დაუთვლიათ 30 გვამი დახოცილ მეამბოხეებისა.

უშაკოვს მცირე ზარალი მოსვლია. მოჰკლდომია ერთი გრენადერი და 3 დაჭრილა. მუხრან-ბატონს მოუკლეს ერთი ოსი და ერთიც დაუჭრეს. ასე ადვილად გადარჩა უშაკოვი საზიფათო ადგილზე ბრძოლას. აქედან უშაკოვი და მუხრან-ბატონი დაუბრკოლებლივ ავიდნენ თიანეთს და აქაურებიც დაამარცხეს. რამდენი თიანელი გაწყდა ბრძოლაში, არა სჩანს, ხოლო ტყვედ წაუყვანია უშაკოვს 15 კაცი.

რუსებს ჯავრი სჭირდათ თიანელებისა, რადგან ყველაზე პირველად თიანელები მიემხრნენ აზმეტელებს. კაცი მუდამ კაცია და ამიტომ სამაგალითოდ უნდოდათ რუსებს მათი დასჯა. ტყვედ აყვანილ 15 კაციდან აარჩიეს რვა, როგორც მთავარი მეამბოხე და შიგ სოფელში ჩამოახრჩეს. სწორედ შეუწყნარებელ სასტიკობას იჩენდა ბატონი უშაკოვი. ულმობელად ეპყრობოდა ტყვედ წაყვანილ მეამბოხეებს, მაგრამ პაულუჩჩი არ უწყრებოდა და ხშირად ქება-დიდებით იხსენიებდა- აფიცრობის თვალით, ასე ამბობს უშაკოვზე მარკიზი (сей отличный офицеръ). 142)

მარტის [illegible] არტანი არ იმლიდა თავისას, [illegible] გაგზავნა პოლკოვნიკი ტიხანოვსკი არტანში. რაზმის უფროსმა შეუთვალა, დამშვიდდით, მთაში გახიზნული ცოლშვილი დააბრუნეთ და ურჩობაზე ხელი აიღეთო, მაგრამ სრული მთელი დღე უცადა პოლკოვნიკმა და მოსვლით-კი არავინ მოვიდა ერთგულობის ფიცის მისაღებად. არა, ტყუილად რაზე იწუხებდა პოლკოვნიკი თავსა მოლოდინში. თიანელთ ამბების გამგონე ვინ ოხერი მივიდოდა რუსების ბანაკში. თავდებად ვინ დაუდგებოდა, რომ ჩვენც თიანელებსავით ნახევარზე მეტს არ ჩამოგვახრჩობდნენ! ეწყინა პოლკოვნიკ ტიხანოვსკის, რომ მისი სიტყვა არტანელებმა ძირს დაუშვეს და არ გახდნენ ფიცის მისაღებად და ჩვეულებრივ მოექცა ურჩ სოფლებს, ესე იგი წაუკიდა ცეცხლი და მთლად გადაბუგა არტანელების სახლ-კარი. ნუგეშად არტანელებს ერთი რამ ექნებოდათ, სიცოცხლე მაინც ხომ შევინარჩუნეთო. არტანის გადაწვით დასრულდა რუსის მხედრობის მოქმედება მარკიზ პაულუჩჩის უფროსობით მეამბოხეთა წინააღმდეგ 1812 წლის გაზაფხულის პირზე.

„ამ გვარადაო, მოახსენებს პაულუჩჩი იმპერატორ ალექსანდრე პირველს, განგებითა ყოვლად სახიერის უფლის, რომელიც მფარველობს თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის იარაღს, დაითრგუნა და დაიმსხვრა ზვაობა და კადნიერება ურჩნეულთა და სულელთა. მაშფოთარი სული კახეთში ძირიან-ფესვიანად ამოვარდა, მართველ-გამგეობის წესი და რიგი აღდგენილ არს და სრულიად საქართველო დაწყნარდაო“. 143)

რა ზარალი მოუვიდა ქართველობას აჯანყების დროს, დანამდვილებით არ ვიცით. ვისა ჰქონდა თავი აღენუსხა მოკლულ, დაჭრილ, ჩამოხრჩობილ, ან ტყვედ წაყვანილ ქართველისა. რუსის მხედრობის ზარალი-კი მარკიზ პაულუჩჩიმ დაწვრილებით მოახსენა ხელმწიფეს. სულ მოკვდეს და უგზო-უკვლოდ დაკარგულა 6 შტაბ-აფიცერი, 13 ობერ-აფიცერი და 300 უბრალო ჯარის-კაცი. პირველად ამბოხებამ რომ იფეთქა და გაალმასებული ერი სამხედრო კამანდებს მიესია, ბევრი ჯარის-კაცი დაკვდა. ზოგი დახოცეს და ვინც ცოცხალი გადარჩა, მონებად [illegible] მე მაშინათვე მოვითხოვე დაყოვნებლივ ჩემთვის წარმოედგინათ დამალული სალდათები. ჯერჯერობით 300 კაცი წარმომიდგინეს. ეგები, ღმერთმა ინებოს და უგზო-უკვლოდ დაკარგულად რომ ითვლებიან, ზოგი მათგანიც ვინმე დამალული აღმოჩნდესო.

ფრიად საყურადღებო უქვეშევრდომილესს 26 მარტს 1812 წ. მოხსენებას მარკიზი პაულუჩჩი იმით ათავებს, რომ მოკლედ ჩამოთვლის მიზეზებს, რამაც გამოიწვია კახეთის „ბუნტი“. ეს მიზეზები, სხვა წყაროებიდან შეკრებული ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ და საჭირო აღარ არის მათი განმეორება.

პაულუჩჩიმ თავისი თავიც არ დაივიწყა, და როგორც მოხელეთა ჩვეულებაა, აჯანყების მიზეზი სხვას მოახვია კისერზე,—საქართველოში (რუს. Грузія) მომხდარ რევოლიუციის ამბები დაწვრილებით მოგახსენეთ, სწერს მეფეს. ნათქვამს ის უნდა დაუმატო, რომ ჩემი თავი უბედურად მიმაჩნია, რადგან ამბოხება დიდი ხანია, რაც მზადდებოდა და იფეთქა მხოლოდ ჟამსა აქაურის მხედრობის ჩემ მიერ სარდლობისას. ნუგეშად მივლენილ უბედურებაში თქვენის უდიდებულესობის მართლ-მსაჯულება მაქვს და საკუთარი ჩემი სინდისი. დარწმუნებული ვარ, რომ თვით გესლიანი შური ჩირქს ვერ მოსცხებს ჩემს მოქმედებას ამ ქვეყანაში, ვინაიდან ჩემის მოქმედება-საქციელის ერთად-ერთი საზრუნავი საგანი იყო—სარგებლობა თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის სამსახურისა, საქართველოს ერის სიკეთე-ბედნიერება და აღმოფხვრა ბოროტებისაო. 145)

აპრილის გასულს მარკიზ პაულუჩჩი სამუდამოდ გამოეთხოვა საქართველოს და პეტერბურგს გაეშურა. მთავარ-სარდლობა და მართებლობა ჩააბარა გენერალ რტიშჩევს.

თავად-აზნაურობას ეწყინა, მარკიზ პაულუჩჩის გადაყვანის ამბავი რომ შეიტყო, წარსდგა წინაშე მისა და სთხოვა—ნება მოგვეცით გავგზავნოთ პეტერბურგს დეპუტატი და იმის პირით [illegible], დაბრუნების ბრძანებამ გზაში რომ მომისწროს, ხელ-ახლა უნდა დავტრიალდე საქართველოში. წასვლა-წამოსვლა სულით-ხორცამდე დამღუპავს და გამაღატაკებსო. 146)

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა პატივი არა სცა დეპუტატ ზაქარია ანდრონიკაშვილის თხოვნას და მარკიზი აღარ დააბრუნა საქართველოში. დეპუტატის გაგზავნა პეტერბურგს უსახსრობისა გამო ეხლაც ძნელია და მაშინდელ დროს ერთი-ათასად ძნელიც იყო და სახიფათოც. რა მოსწონდა ჩვენ თავად-აზნაურობას მარკიზ პაულუჩჩისა და რაზე იკლავდა თავს, რომ განსაკუთრებული კაციც-კი აახლა იმპერატორს თხოვნა-მუდარით, აქ დატოვეთ მთავარ-მართებლადაო, ადვილი გამოსაცნობი არ არის. კაპიტანი ანოსოვი ფიქრობს, მღელვარებამ თვალი აუხილა მარკიზსა და ბოროტების აღმოფხვრას მხნედ შეუდგა, მარკიზი ჭეშმარიტების მოყვარე იყო და მართვა-გამგეობის გადაკეთებას შეუდგა. მთავარ-მართებლის სა-

◆ რუსულ გაზეთების სიტყვით, კავკასიაში თურმე გადმოჰყავთ ციმბირის განაპირა ოლქის, პრიმორსკი ოლქის, გუბერნატორი კულებიაკინი. ამიერ-კავკასიაში ნიშნავენ გუბერნატორად აგრეთვე შიდლოვსკის, რომელიც რევიზიის დროს სენატორ კუზმინსკის ახლდა ბაქოში.

◆ ბაქოში ადგილობრივ ნავთის მწარმოებელთ თავიანთ ქარხნების დასაცველად **განუზრახავთ საკუთარ მილიციის შედგენა**, რაზედაც უკვე დართო ნება შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ამ ჟამად, როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, ნავთის მწარმოებელნი დიდძალ იარაღს ყიდულობენ თურმე.

◆ როგორც ვიცით, ტფილისში კვირაობით სანოვაგისდუქნებს გარდა სხვა ყველა **სავაჭრო იკეტება**. ამ სავაჭროების პატრონებმა შუამდგომლობა აღძრეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის წინაშე, რომ შეიცვალოს ზოგიერთი წესი საქონლის მიღებისა სადგურიდან და შემსუბუქდეს გადასახადი. თხოულობენ, მაგალითად, კვირაობით სადგურზე საქონლის შენახვაში არაფერი გამოერთვათ და სხვა.

◆ „ტიფ. ლ.“-ს სიტყვით, არ მართლდება ის ხმა, ვითომ ი. ფერაძეს სამრევლო-საეკლესიო სკოლების **ოლქის მეთვალყურედ** ნიშნავდნენ.

◆ კავ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბრძანება გასცა, მოსწავლე **მაჰმადიანებს სრული თავისუფლება მიეცეთ** თავიანთ სარწმუნოებრივ წეს-რიგის შესრულების საქმეში.

◆ ბაშ-ყადიკლარის სათადარიგო ბატალიონის პრაპორშჩიკი ვ. ა. სულაქველიძე, „ნ. ო.“-ს სიტყვით, სამხედრო სამართალში მიუციათ. **სულაქველიძეს მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა ჰბრალდება.**

◆ 30 ივლისს ტფილისში ჩამოუყვანიათ **დუშეთის მაზრაში დაპატიმრებული** ცხრა კაცი, ტომით სომხები. „ივ.“-ს სიტყვით, ამათ იარაღის გადატან-გადმოტანა ჰბრალდებათ.

◆ ამავე გაზეთის სიტყვით, განზრახულია, ქუთაისის გუბერნიაში გააუქმონ **საომარ დროის წესები.**

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მასალა დაამზადა და მახეიდის პროსპექტიდან შეუდგა ამ ქუჩების მოკირწყვლას, სადაც ტრამვაია.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 2 აგვისტო. რევაზიშვილის, ჯუღელისა, ბექაიასი, შავლაკაძის, მესხიშვილისა და წივწივაძის საქმის გარჩევა გადიდვა (ამათ ბრალდებათ დარაჯებზე თავდასხმა და პოლიტიკურ დანაშაულობის განზრახვა); საქმე გადიდვა, რადგან ზოგი ბრალდებული და მოწმე სასამართლოში არ გამოცხადდნენ. დამცველად მოწვეულია მოსკოვიდან ბ-ნი მურავიოვი.

დღეს ახალს გუბერნატორს სტაროსელსკის და ვიცე-გუბერნატორს ყიფშიძეს წარუდგნენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

სოფლად

კახეთი. 30 ივლისს სოფ. ახატელს ჩააყენეს ორის წყების ყაზახ-რუსები. ჯერ წინა კაცი გაიგზავნა ყაზახ-რუსებით სურსათის მოსამზადებლად. ბ-ნ რ. ამისთანებში ვერავინ შეედრება, სადაც ფეხს დასდგავს, კვალს დაამჩნევს. იმედია დღესაც უფრო მეტს სიბეჯითეს გამოიჩენს და რიგიანად გაუმასპინძლდება ყაზახ-რუსებს. რა ენაღვლება „ხარი სხვისა, სახრე-ტყისაო“! მაზრის უფროსი გულჩათხრობილი მიუძღოდა ყაზახ-რუსების რაზმს საეკზეკუციოდ დანიშნულს ს. ახატელში. ამბობენ ეს ეგზეკუცია ადგილობრივ მემამულეთაგან არის გამოწვეულიო. ეს არც დასაჯერებელია და თან დასაჯერებელიც არის. არ არის დასაჯერებელი იმიტომ, რომ სულ 20 კომლია, თუ ცოტა მეტი, სოფელს ახატელში ქართველობა და ნუთუ ამ მცირე გლეხობის ქედის მოსახრელად ამოდენა რაზმი დასჭირდათ? დასაჯერებელია კიდევ იმიტომ, რომ ერთმა მემამულემ სწორედ დღეს მითხრა, იქ რო ვყოფილიყავ, როცა ჩემი კალოდან სამი ურემი ძნა მიჰქონდათ, მარტო მე მთელს სოფელს ამოვწყვეტდიო. ოცი პატრონა მაქვს დამზადებული, თითოში 16 კარტეჩი არისო. დალოცვილს, თუ მარტო შეეძლო გამკლავება, ყაზახ-რუსებს რაღად იგზავნინებდნენ? აბა, მოდი ამისთანა გარემოებაში დიდე ქუდი და სამართალი გააჩინე! ეს-კი კარგად ვიცი, რომ ეგზეკუცია არავისთვის სასარგებლო არ არის, არც გლეხისათვის და არც აზნაურისათვის.

კარდღელაურელებმა ყველა სოფელს „გადააჭარბეს ჯიუტობით“. ამათთვის 25 ივლისს უნდა ჩაეყენებინათ ეგზეკუციად ორი როტა ქვეითა ჯარისა, ერთი ესკადრონი დრაგუნისა და ერთი რაზმი ყაზახ-რუსებისა დაიწყო მოლაპარაკება მემამულეთა და დროებით ვალდებულ გლეხთა შორის თვით სამაზრო გამგეობაში. არა გამოვიდა-რა. გლეხები მეათედზე მეტს არ იძლეოდნენ, მემამულენი მეოთხედზე ნაკლებ არ სჯერდებოდნენ. გადასწყდა ეგზეკუციის ჩაყენება მეორე დღეს, თუ არ შეთანხმდებოდნენ. თავ. ალ. და ლ. ვახვახიშვილებმა, კნ. თ. ა. აბაშიძისამ და კნჟ. ქ. ი. რუსიშვილმა ქაღალდზე, რომელზედაც ეწერა „სრული კმაყოფილება მივიღეთ ჩვენის გლეხებისაგანაო“ ხელი მოაწერეს, გადასცეს მაზრის უფროსს და წავიდნენ.

მეორე დღეს კიდევ გაიმართა ლაპარაკი და ვერ შეთანხმდნენ, ხოლო იყო კი ნიშნები შეთანხმებისა. გადაწყვეტილი იყო 30 ივლისს ჩაეყენებინათ ეგზეკუცია. ესკადრონი დრაგუნისა მოვიდა 29-ს მოილაპარაკეს მემამულეებმა და გადაწყვიტეს, ეთხოვნათ თავ. ზ. გ. ჭავჭავაძისთვის გადაედო ეგზეკუციის ჩაყენების ვადა. დეპეშამ მოიტანა გადადების ნება რთვა თავ. ჭავჭავაძისაგან. იმედია, ახლა-კი მოაწესრიგებენ საქმეს.

29 ივლისს, საღამოს 10 საათზე, წინანდლის ბოქაული ცხენს დააჭენებდა თელავის დიდ ქუჩაზე, თან რაღაც ხმით ყვიროდა და უკან დარაჯი ცხენითვე დასდევდა. ბაღში მოსეირნე ხალხმა მიაქცია ამ უცნაურ სირბილს ყურადღება, აღმოჩნდა, რომ ბოქაულის გამოვლის დროს ვენახში, თუ ვენახიდან, ვიღაცას თოფი დაუცლია. ბოქაულს ჰგონებია მე მესროლესო, გამოუჭენებია ცხენი, თავის სახლს გამოსცდენია და თელავის დიდ ქუჩაზე დაუწყვია ჭენება და ხმაურობა. ეს იმის გულადობის უტყუარი ნიშანიაო, შენიშნეს მოსეირნეთ.

თელავის მაზრის თავ.-აზნაურთა საგანგებო კრებას მაზრის წინამძღოლმა წაუკითხა საგუბერნიო კრების ორი დადგენილება, რომლებიდანაც სჩანდა, რომ კრებამ, გორის მაზრის თავ.-აზნაურთა წერილობით მოხსენების გამო, გადაწყვიტა აღმოუჩინოს დახმარება დაზარალებულ თ.-აზნაურობის სამეურნეო თანხიდან, ისე-კი რომ დასახმარებლად მიცემული ფული უკანვე დააბრუნოს თავ.-აზნაურობამ 5 წლის შემდეგ. ამიტომ უნდა არჩეულიყო სამაზრო კომისია არა ნაკლებ 10 კაცისა. ამათ უზრუნველ უნდა ჰყონ ფულის ვადაზე დაბრუნება. მცირე კამათის შემდეგ იმაზე, თუ რაში და როგორ მოვიხმაროთ თელავ-თიონეთის მაზრების ხვედრი 12000 მან., გამოირკვა, რომ ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. შეუდგნენ კომისიის არჩევას. თავმჯდომარედ კომისიისა არჩეულ იქმნა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, კომისიის წევრებად: თავ. ზ. თ. ჯაფარიძე, გენერალი ნ. რ. გიაგნიაშვილი, გენერალი თავ. დ. ს. მაყაშვილი, გენერალი თავ. ვ. ა. მაყაშვილი, თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე, თავ. ი. ა. ქობულაშვილი, ბ.ნნი დ. გ. აბელიშვილი, ქ. დ. მაჭავარიანი და ს. ლ. მელვინეთხუცესოვი. კომისიას დაევალა ფული მიიღოს, საიდანაც ჯერ-არს, სასარგებლოდ შეიტანოს ერთ-ერთ ბანკში და შეიმუშაოს პროექტი, როგორ და რაში მოიხმარონ ეს ფული.

დამსწრე.

სამეგრელო. გატყობინებთ ფრიად სენსაციურს ამბავს: სამეგრელოშიაც დაარსდა თავადაზნაურთა მილიცია. მხოლოდ ეს ახლად გამოჩეკილი ფრინველი ბევრით განსხვავდება თავის ქართლელ კოლეგისაგან. ქართლელ მილიციონერთა საქციელი, ასე თუ ისე, ყველასათვის აშკარაა და დაუმალავი. მათი რიხი და ჰექა-ქუხილი კიდითკიდემდინ გაისმის. სამეგრელოს მილიცია-კი დაფარულია და დამალულად მოქმედობს. კაცმა არ იცის, სად მოგეპარებიან, საიდან დაგეცემიან და „მოგკლავენ. მოგეხსენებათ, გეთიას მოკვლისა და თოლორდავას გაძევების ამბავი. მათ შემდეგ ხომ არავითარი საფრთხე არ მოელოდათ ჩვენს ფეოდალებს. მაშ რად აუშვეს ამდენი ლეგალური „აბრაგი“ სოფლის საუკეთესო ვაჟკაცთა ამოსახოცად?

წინად გაცნობეთ ცნობილ რაინდთა საჯაიას, კუტელიას და გოშუას „საქმენი საგმირონია“ გლეხის გაძარცვისა და ხარების დაკარგვის შესახებ. ეი ესენი და მათი ამხანაგები არიან, როგორც ხალხი ერთხმად ამბობს, საქმის გამწვავებელნი. ამ დღეებში მოჰკლეს სოფელ ობუჯში ვიღაცეებმა მოტყუებით და მალულად ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი გლეხი მაქსიმე მესხია. ასეთი შემთხვევები თავზარსა სცემს გლეხობას და უფრო ამწვავებს გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობას. ფარულად მოქმედების გარდა ამ „შავს რაზმს“ ახასიათებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი გლეხიც ურევია მასში.

ამ „მილიციის“ გარდა გაჩნდნენ კიდევ ფარული „ხულიგანები“, რომელნიც დაქირავებული ჰყავთ „ძლიერთა ამა სოფლისათა“ მათთვის არა სასურველ პირთა მოსაშორებლად. ყველას საჭირო იარაღი აქვს დანიშნული. რადგან „არა სასურველ პირთა“ წინანდელებრ უსაბუთოდ, მარტო ერთის ეჭვით, დაჭერა არ შეუძლიათ, გადაუწყვეტიათ „ხულიგანების“ საშუალებით პირდაპირ მოკვლა ყველასი, ვინც სოფელში შევა და თამამ ლაპარაკს დაიწყებს. ხალხი პირდაპირ ასახელებს როგორც მილიციის წევრებს, ისე იმათ დამხმარე ძლიერთა ამა სოფლისათა.

სოფელ ჯაქვინჯიდან გაიყვანეს ყაზახ-რუსები და მცხოვრებთ თავისუფლად ამოისუნთქეს. რას გახდა ეს ეგზეკუცია სოფლებში? მიაღწია თუ არა თავის მიზანს—გლეხთა დაწყნარებას? ამისი პასუხი სთქვან იმათ, ვინც ეს ღონისძიება მიიღეს, ხოლო ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯაქვინჯში ეგზეკუციის იქ ყოფნის დროსვე მოჰკლეს ორი კაცი—პახვალიაშვილია, და ყარამან ხუბულავა, რომელთაც სოფელი ჯაშუშობას აბრალებდა. ქურდობა და ძარცვა-გლეჯა უფრო გახშირდა. ვერას გახდნენ პოლიციისაგან ახლად დანიშნული შვიდის თავები. რაკი წინანდელი ხალხის მიერ არჩეული ათისა და ასისთავები, გააუქმეს (მათს დროს ნემსიც არ იკარგებოდა), ხალხი გულგრილად ეპყრობოდა საქმეს და ქურდ-ბაცაცებს პოლიციისა არ ეშინიათ. მათ მოსპობს მხოლოდ ხალხი, როდესაც სრული თვითმმართველობა მიენიჭება.

მოაწია გადასახადების დრომ და მასახლისები ძალას ატანენ ხალხს, რომელიც გადაჭრით უარს ამბობს რისამე გადახდაზე. ჩვენ რომ არაფერი გვაქვს, შიმშილით ვიხოცებით, თქვენ რა მოგცეთო. განსაკუთრებით გულმოდგინეობს სოფელ [illegible] მამასახლისი კახაბერ კვირტია, რომელსაც პატარა ბატონად მიაჩნია თავი და რომელიც ეუბნება გლეხებს,—გადაიხადეთ მალე, თორემ ეგზეკუციას ჩავაყენებინებ და ყაზახ-რუსებს ავაკლებინებ თქვენს ოჯახებსაო.

ზუგდიდის მაზრის უფროსი სადღაც წავიდა და მისი ბოქაულები თავისას განაგრძობენ.

ახლად დანიშნული ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი სალაპარაკო საგნად გამხდარა სამეგრელოში.

სამურზაყანოდან მოდის ქურდობა-ავაზაკობის მეტად გახშირების ამბავი: არ უშვებენ თურმე არც მდიდარსა და არც ღარიბს, ქალსა და კაცს. ეს არის შევიტყვეთ. ჯაქვინჯში გაუძარცავთ ადგილობრივი გლეხი ჩუხუა და სოფელ ცაიშში, სადაც ყაზახ-რუსები დგანან, გაუძარცავთ მიწის მზომე-ინიაშვილი. გამოძიებას შეუდგნენ.

რუსეთის ქრონიკა

შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი, როგორც პეტერბურგში ხმა დადიოდა, სამსახურს თავს ანებებს და იმის ადგილს იჭერს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, მინისტრის ამხანაგად და პოლიციის უფროსი დ. ტრეპოვი, რომელიც ამ ერთი წლის წინად მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტრად იყო. ტრეპოვის ადგილას გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გრადონაჩალნიკი გენერალ-მაიორი ვ. დედიულინი („რ. ს.“).

საერო წარმომადგენლობის გამოცხადება, როგორც ამბობდნენ და მოელოდნენ ჰქონდათ, 30 ივლისს აღარ მოხდა და გადაიდო 9 აგვისტოსთვის. ფიქრობენ, ამ დღისთვის ომის განგრძობისა ან ზავის ჩამოგდების საკითხიც გამოირკვევა და გადაწყდებაო. („რ. ვ.“).

საიდუმლო მკვლელობა და მიცვალებულთა დაკარგვა დვინსკში, ყიტომირის ქუჩაზე, 14 ივლისს, ოთხი მოკლული და ათზე მეტი დაჭრილი უნახავთ. მოკლულთა შორის ერთი ათის წლის ბავშვი ყოფილა და დაჭრილებში—65 წლის ბერი-კაცი. მეორე დღეს დაუსაფლავებიათ დახოცილი ებრაელები. დიდძალი ხალხი გაჰყოლია დასაფლავებას. 16 ივლისს მიცვალებული ქრისტიანები უნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ როცა ხალხი საავადმყოფოში მივიდა, იქ არც ერთი გვამი აღარ იყო („რ. ვ.“).

სიკვდილით დასჯა უცნობ ბრალდებულისა. 28 ივლისს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში გაურჩევიათ საქმე ვიღაც უცნობ კაცისა, რომელსაც ბოქაულის თანაშემწის სტრახოვისა და მეეზოვის ანდრეევის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. პირველად ეს საქმე სამხედრო სასამართლოს გაურჩევია და მაშინ

ქმიანობის ნიმუშები ზემოდ საკმარისად მოვიხსენიეთ და ქვეყნის საკეთილდღეოდ მაინცა და მაინც ბევრი ვერაფერი ვიპოვნეთ. თავიდანვე გენერალ სტალის მიერ მოხერხებულად და ეშმაკურად გაბმულ ქსელში გაება, ეგზეკუციებით დააია კახეთი და როცა იდაჯ-გაწყვეტილ ერმა ხმა ამოიღო, მოწყობილ ჯარით ზურგზე ბოლო ადვნა და შეუბრალებლად სადრჩობელანი დამართა კახეთის ორგულთ. არც თუ თავად-აზნაურობას ექცეოდა ღმობიერად ბრწყინვალე მარკიზი. საერთოდ მოღალატეობის ღირსი უბოძა და ამის შესაფერად ექცეოდა. მაშ რის გულისათვის ეწეოდნენ ხარჯსა და რისთვის გაგზავნეს კაცი პეტერბურგს? ალბად ამის საიდუმლო საფლავში თუ ჩაიტანა თან განსვენებულმა დეპუტატმა თ. ზაქარია ანდრონიკაშვილმა.

რაკი სამუდამოდ გეთხოვებით ფილიპე ოსიპის ძე მარკიზ პაულუჩჩის, საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით მისი მოქმედების ამბავი ორიოდე ცნობით და ბოლოს ისიც მოგახსენოთ, თუ რა ბედი ეწვია ახლად არჩეულ მეფე გრიგოლს.

ზემოდ დასახელებულ არქიმანდრიტ ელევთერის მოხსენების მეხუთე მუხლი აგვიწერს პაულუჩჩის ექსპედიციას კახეთში. „დროსა, მათის მაღალ-უოგლად უსამღვდელოესობის მცხეთის მიტროპოლიტის და სრულიად საქართველოისა და იმერეთის ექსარხოსისა და კავალერის ვარლაამისსა, გაიხსნა რა დეკასტერია და ინება მან მაღალ-უოგლად უსამღვდელოესობამან ჩემიცა დეკასტერიასა შინა ხლებად დადგენა და ამის გამოგზავნა აქ ტფილისსა. მას ზამთარს, თვესა თებერვალს, 1812-სა წელსა, ასტყდა ბუნტი კახეთსა შინა, მთავარ-მმართებლობისა მარკიზ პაულუჩჩისას, და ამას მთავარ-მმართებელმან ინება და კახეთს წასვლა და მეცა თავისთან წასაყვანად ვუნდოდი, სთხოვა მათის მაღალ-უოგლად-უსამღვდელოესობისა მწყემსთმთავრობასა, და მწყემსთ-მთავარმან ამან მიბრძანა დიდის გულს-მოდგინებით, და დამარიგაცა მსახურებისათვის ერთგულებისა, და გამატანა რა, მივედით აქეთ კახეთისა პირსა საგარეჯოს, მომანდო მე ვალად ხალხთა ფრიად აღრეულთა შორის მისვლა, რჩევა და დამშვიდება. მორჩილი ბრძანებისა, შევედი მათ ხალხთა შორის, თუმცა დროსა მას ჩემის შესვლისასა მრავალგან მოინდომეს სიკვდილი ჩემი, გარნა მიხსნა მე ღმერთმან და მაინც დავამშვიდე იგი, და მოვიდნენ მარკიზსა თანა. შემდგომად ამისა აქედან წარსულნი გარდავვედით პირიქით, დაგვხვდნენ კახეთის ხალხნი, აგვიტეხეს სროლა და დაგვიწყეს იმ ადგილსა ჩუმლაყის ბოლოსისა და გვესროდნენ-რა, დროსა ამას თანა გახლდი. სროლამ გასტანა სადამომდინ და მას ღამესა ფრიადის სიცივისა და თოვლისაგან შეწუხებულმან, გავათენე ტალახს და თოვლსა შინა, ცას ქვეშე, და მეორესა დღესა რა დაამარცხა იგინი მოუმორჩილებელნი პირისპირ მბრძოლნი უძლეველმან მხედრობამან, მასვე დღესა გამგზავნა მე გაღმა მხარს დასამშვიდებლად და თვით წარვიდა თელავს. წაველ მე და აქამდისინ მივიყვანე ცდა ჩემი, თვით ამღრეველნი გარდამხრელნი მოვარმი თელავს, შევარიგე და დაუტევე ხალხი დამშვიდებული და თელავის კარის ეკლესიასა შინა ესენი და სხვანი დავაფიცე მე ერთგულებასა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა. და შემდგომად ამისსა წარმოვიდა რა ტფილისს მარკიზი, დამაგდო მე განგებ თელავს, ესე ვითარის სიტყვით, კნიაზ ორბელიანი 147) მოვა აქ ხალხისათვის დასარწმუნებლად და უნდა ახლდე მასთანა და მასცა მისცე ერთგული შეწევნაო. მოვიდა რა მათი ბრწყინვალება უფალი გენერალ-ლეიტენანტი და კავალერი კნიაზ დიმიტრი ორბელიანი, დავხვდი მუნ, და ვმსახურე მაშინცა მთლად თელავის უეზდს შინა და მუნამდე ვახლდი, მანამ შევიდოდა კნიაზი ქიზიყს და მუნითვე უკმო გბრუნდი და წამოვედ ტფილისს. ამა სამსახურთა გამო დამიწვეს მე სახლ-კარი თელავს, და ამიკლესცა ყოვლის ნივთით ჩემით მაშინდელთა ბუნტოვშიკთა“.

როგორც ეტყობა, გულფიცხნი ყოფილან მაშინდელი „ბუნტოვშიკები“. მათთვის მოღვაწე და მოსამკე მოძღვარს, რომელსაც სუსხიან თებერვალში, ჩუმლაყის ბოლოს, ღამე გაუთენებია „ტალახსა და თოვლსა შინა, ცას ქვეშე“, რომელმაც ფიცი მიაღებინა კარის ეკლესიაში პატივი არა სცეს, არ დაუნახეს ამაგი, ჭირნახულობა და სახლ-კარი დაუწვეს. ბარემ ამაც არ ეკუთვნოდა ასეთი ჯილდო, მაგრამ რას იზამ როდესაც ასეთია ერის ფსიხოლოგია. საერთო დრევ-ამბოხების ჟამს მეტი ზარა და ძალად-მარცხონების ხვედრი ხშირად ცეცხლი და სახლ-კარის გადაბუგვაა ხოლმე.

ჩუმლაყის ბრძოლა სწორედ რომ კისერ-მოსატეხი ეპიზოდი ყოფილა მარკიზ პაულუჩჩის ცხოვრებაში. საქმე ისე გასჭირვებია მთავარმმართებელს, რომ ოდნავ-კი დაემშვიდებინა ერი და ხუდია და ათას რამე სასიამოვნო შეჰპირებია კახელებს. მეფედ ერთ-ერთ ბატონიშვილს მოგგვრითო, თავიდან მოგაშორებთ „მოსამართლეებს“ და კაპიტან-ისპრავნიკებსაო. კახელებსაც ამის მეტი არა უნდოდათ რა, დიდად გახარებიათ და ნიშნად სიხარულისა მარკიზისთვის წარუდგენიათ 300 ჯარის-კაცი თავიანთ აფიცრებით, მართლაც თავგაპარსული, მაგრამ რა უშავს, თმას რა შვენა აქვს, ერთ თვეზე უფრო უკეთესი ამოუვიდოდათ. ფრიად საინტერესოა ბატონიშვილ დავითის ამ ამბის შესახებ მოთხრობა და ამის გამო სავსებით და სიტყვა-სიტყვით შემოვიტანთ ამ მოთხრობას. თავადიშვილებმა რომ უღალატეს მეფე გრიგოლს ჩუმლაყთან და მარკიზთან მოვიდნენ, „მაშინ ზაზა ზურაბიშვილი, ძმა ნინიასი, რომელიცა იყო მეფის ძის იოანეს სადოხუცესი 148) და მორჩილი იყო მას ჟამს რუსეთით და იყო მარკიზის თანა, შეუხნია ესე გრიგოლსა, რათა მოიყვანოს იგი; მოაცთუნა ზაზამ და მოიყვანა იგი მარკიზთანა, 149) თუმცაღა ანწუხელთა არა სწადდათ განტევება მისი მით, რამეთუ არიან იგინი ფრიად ერთგულ მეფეთა თვისთა, ვითარცა თუშნი. ისმინეს რა გლეხთა ღალატი თავადთაგან, განრისხნენ და დაეცნენ თვისა რუსთა ჩუმლაყის ბოლოსა, კვალად იძლივა მარკიზი, ხოლო გლეხიცა შეეცადნენ ჩუმლაყისა სოფელსა. დღესა მეორესა მივიდა მარკიზი ჩუმლაყს. იქმნა სოფელსა შინა ბრძოლაი ძლიერი, იძლივნენ ჩუმლაყელნი და მოწყვეს სრულიად ჩუმლაყი რუსთა. ხოლო იხილა რა მარკიზმან, ვინაიდგან ვერა ძლეულ პირის-პირობაი კახთა, ევედრა ზავსა და აღუთქვა კახთა, რომელ მოგგვრით მეფის ძეთა თქვენთაო რუსეთით. ამას ზედან მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავი და მოგვარეს გაღმა მხრელთა უმეტეს სამასისა სალდათნი, შეპყრობილნი აფიცრებითურთ, რომელნიცა შეიპყრეს ამბოხსა ამას, აღპარსულნი თმათანი, მით რამეთუ კახთა აღპარსეს პყრობილთა მათ თავნი კიცხვისათვის. და მოყვანასა ზედა მეფის ძეთასა არწმუნა რა გული მარკიზმან კახთა და დამშვიდნენ კახნი, მომლოდინენი აღთქმასა მისსასანი, რომელ განჰკრინებიან 150) ხელთაგან მოსამართლეთა და კაპიტან-ისპრავნიკთა რუსთასა, უკუნიქცა მარკიზი ტფილისს და მუნით წარავლინა გრიგოლ პეტერბურღს, მისრული გრიგოლ პეტერბურღს, შეიპყრა იმპერატორმან და პატიმრად წარავლინა ციხესა შინა პეტრეპავლოვსკისასა და მუნ პატიმარ ჰყვეს წელი ერთი“ 151).

მარკიზ პაულუჩჩიმ თავი რომ გაიკლა და საქართველოში დარჩენა აღარ ისურვა, ეს ნაძალადევი „აღთქმანი“ ხომ არაა მიზეზი? რაკი დაპირებულს ვერ ასრულებდა, რაკი კაპიტან-ისპრავნიკების ბატონობას ვერ მოსპობდა და რუსეთიდან საქართველოს დაობლებულ ტახტს პატრონს ვერ მოჰგვრიდა, განქცევის მეტი სხვა რა ღონე ჰქონდა პაულუჩჩის? ასეც მოიქცა. გუდა-ნაბადი მოაგრა საქართველოს და პეტერბურგის გზას დაადგა, მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურობა კალთებზე ებღაუჭებოდა. წასვლას მარკიზი ისე აშურებდა, თითქოს აქ წუთი ამოუვიდა და რუსეთში ფაფა უცივდებოდა. მისი მოადგილე გენერალი რტიშჩევი იგვიანებდა და ჩამოსასვლელად არ ეშურებოდა. პაულუჩჩი ცხარობდა, ცოფებსა ჰყრიდა და სავედრებით სავსე წერილებსა სწერდა რტიშჩევსა: რადას იგვიანებთ, მალე მოხვედით ქვეყანას და მეც გამანთავისუფლეთო. 152).

კახეთის ამბოხებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ბატონიშვილ გრიგოლს. ერთი თვით მეფობის გულისათვის თორმეტი თვე პეტრეპავლოვის ციხეში ბრძანდებოდა. ანწყებიდან ჩამოიყვანა გრიგოლი ნადგურნი სოფლიდგან ზაზა ანდრონიკაშვილმა, გარსევანიშვილმა და პაატა ჭავჭავაძემ და წარუდგინეს პაულუჩჩის. გრაფ რუმიანცევს მარკიზი სწერს: რადგან გრიგოლმა ცოდვები მოინანია, ნებაყოფლობით გამოცხადდა ჩემთან და ერთგულობის ფიცი მიიღო და რადგან იმ შემთხვევაში, ვინც ცოდვას მოინანიებს, პროკლამაციით პატიებას დავპირდი, ამის გამო გრიგოლს ვისტუმრებ პეტერბურგს იმ წესით და უფლებით, როგორც სხვა ბატონიშვილები გამოისტუმრეს რუსეთსაო. ყურის საგდებლად და ბოქაულად მიუჩინა გრიგოლს ხერსონის პოლკის ადიუტანტი პოდპორუჩიკი თ. ბებუთაშვილი 153). და თარჯიმანად პრაპორშჩიკი თ. ბარათაშვილი. ამ ორმა ქართველმა თავადიშვილმა წაიყვანა მეფედ ნამყოფი ბატონიშვილი გრიგოლ პეტერბურგს 18 მარტს 1812 წ. ბატონიშვილის გზის ხარჯად და ჭამა-სმისთვის მარკიზმა უბოძა თ. ბებუთაშვილს 1500 მ. ასიგნაციით და 125 მან. ვერცხლი. მოსამზადებლად თვით გრიგოლს ხელში მისცეს 60 მ. ვერცხლი, აგრეთვე 280 მ. ვერცხლი, დღეში ხუთ-ხუთ მანეთის ანგარიშზე, ექვს მარტიდან პირველ მაისამდე. თარჯიმანს ბარათაშვილს წლიურად 200 მ. ვერცხლი ჰქონია ჯამაგირად და ამისთვისაც ჯამაგირში პირველ მაისამდე მიუციათ. თავადი ბარათაშვილი, მოახსენებს მარკიზი გრაფ რუმიანცევს, ერთგულად მსახურებდა ჩემ კანცელარიაში და თუ ინებებთ მანდ დასტოვებთ თარჯიმანად ბატონიშვილთან. რა ჯამაგირსაც დაუნიშნავთ ბარათაშვილს, თუ მანდ დასტოვებთ, ეგ თქვენ სურვილსა და ნებაზე მომიგდია. 154).

ბატონიშვილ გრიგოლის გადასახლებით რუსეთს, ბაგრატიონთა [illegible] ამოვარდა საქართველოში, იმ ბაგრატიონთა, რომელთაც რამდენიმე საუკუნე იმეფეს საქართველოში.

ა. ფრონელი

P.S. მკითხველთან ბოდიშს ვიხდით, რომ კახეთის დრევ-ამბოხების ისტორიულ ამბავს ამ ჟამად ვერ ვამთავრებთ. იმედს არა ვკარგავთ, რომ შესაფერ დროს მალე ვიშოვნით და შეწყვეტილ მოთხრობის გაგრძელებას შევუდგებით.

ა. ფ.

---

141) თელავიდან 7 ვერსია წინანდლამდე.

142) იხ. **Акт.** ტ. V. გვ. 79—80.

143) ibid. გვ. 80.

144) რუსულად: „...подлые измѣнники съ покорностью преклонили буйныя ихъ выи.“

145) იხ. **Акты,** ტ. V, გვ. 80—81. კაპიტანი ანისოვი 18 ობერ-აფიცერს ანგარიშობს მოკლულს, მარკიზი მხოლოდ 10. ანისოვის ანგარიში უფრო მართალია.

146) ibid. ტ. V, გვ. 21—22

147) გენერალი დიმიტრი ორბელიანი. ეს გენერალი ასპარეზზე გამოვიდა კახეთში მთავარ-მართებელ რტიშჩევის დროს.

148) ბატონიშვილ გრიგოლის მამა იოანე.

149) მოაცთუნა—მოინადირა, შეაცდინა. ცთუნება—обольщать.

150) განჰკრინება—გადარჩენა, **избавлять, спасать.**

151) იხ. მასალები... გვ. 105—106.

152) კაპიტანი ანისოვი ასე ახასიათებს პაულუჩჩის მოუთმენლობას: „**Паулуччи выходилъ изъ себя.**“ მთავარ-მმართებელი სწერდა რტიშჩევსა: ნურაფრისა გეჭირვებათ, ქვეყანა დაწყნარდა, მშვიდობიანობა აღდგენილია, ბინაც მზადაა თქვენის აღმატებულებისთვის ჩემ სახლში. რა წამს ჩაიბარებთ მხედრობას და ქვეყნის გამგეობას, იმ წუთშივე დავცლი სახლსაო. იხ. ტ. II, გვ. 377.

153) შემდეგ ცნობილი გენერალი ვასილ ოსიფას ძე ბებუთაშვილი.

154) იხ. **Акты,** ტ. V, გვ. 44—45.

ბრალდებულს თავისი თავი ადესის მცხოვრებად, ხაიმ გერშკოვიჩად, დაუსახელებია, მაგრამ თავისი წოდება ვერაფრით ვერ დაუსახელებია. ამ გერშკოვიჩად წოდებულ დამნაშავეს სასამართლოში ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. („რ. გ.“).

მთვრალი პოლიციის მოვალეობის ასრულებელი. პოშეხონის მაზრის ს. ნჲასმიასის ერთ მღვდელს ბოგოროდსკის ბევრი ქადაგება-დარიგების შემდეგ მეამბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ბოლოს ქუჩებში მიმავალ ხალხის ჩხრეკა დაუწყია. ხშირად ჰკითხავენ ხოლმე: „რას ჩადიხარ მაგას, მამაო, როგორ შეიძლება ასე აშკარად ხალხის ჩხრეკაო?“ „რას ჩავდივარ და აკრძალულ ფურცლებს ვეძებო“! არხეინად უპასუხებს თურმე მთვრალი. („რ.“)

ჯოხების ტარება აკრძალულია. პეტერბურგში, როგორც ამბობენ, მალე გამოვა გრადონაჩალნიკის სავალდებულო დადგენილება ჯოხების ტარების შესახებ. ტეხნიკოსთა კომისია შეიმუშავებს და დააწესებს ერთ ნაირ სიმსხო-სიმაგრის და მოყვანილობის ჯოხს, როგორიც უნდა ატაროს თურმე ყველამ. სხვანაირ ჯოხის მქონენი ადმინისტრატიულის წესით დაისჯებიან. ეს მოსაზრება გამოუწვევია იმ შიშს, რომ ჯოხებში საიდუმლო იარაღი არ იქონიონ და ამითი ვისმე რაიმე ვნება არ მიაყენონო. რუსეთის ერთ გუბერნიაში სულ აუკრძალავთ ჯოხების ტარება. ასე მოიქცა კრემენჩუგის პოლიცია. ვისაც ქუჩებსა და ბაღებში ჯოხით მოასწრობენ, ართმევენ და უმტვრევენ. ჯოხის პატრონებს სასამართლოში საჩივრები დაუწყიათ, პოლიცია ჩვენს საკუთრებას გვართმევს და აფუჭებსო. მოსალოდნელია, რომ ამ საქმეზე ბევრი საჩივარი აღიძრება. („რ. გ.“).

პროვინციის პრესის მდგომარეობის დასახასიათებლად მოგვყავს პოლტავის ერთის გაზეთის რედაქციის პასუხები თანამშრომელთა მიმართ: „თქვენი წერილები ბერდიჩიდან არ იბეჭდება რედაქციისაგან დამუკიდებელ მიზეზთა გამო“, „თქვენი კორესპონდენცია საერობო საბჭოში მომხდარ ინციდენტის შესახებ ვერ იბეჭდება რედაქციისაგან გამოუკიდებელ მიზეზისა გამო“; „თქვენი ლექსი „აღდგომა მკვდრეთით“ არ იბეჭდება რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო“; „თქვენი ლექსი „წყალდიდობა“ არ იბეჭდება რედაქც. და სხ.; „სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მდივნის წერილი არ იბეჭდება რედაქციის“... და სხ.; „თქვენი წერილი „წარსულიდან“ არ იბეჭდება რედაქციის“... და სხ.; „თქვენი კორესპონდენცია „საზიზღარი წესები“ ვერ იბეჭდება რედაქციისაგან დამოუკიდებელ“... და სხ.; „თქვენი წერილი „ურალის ყაზახთა შესახებ“ ვერ იბეჭდება რედაქციის და მოუკიდებელ მიზეზთა გამო“... („რ. გ.“).

სასიკვდილოდ დასჯილის თხოვნის შეუწყალებლობა. მუშას ყასიდიევს უნდის ზედამხედველის კავლინის მოკვლისა გამო სასამართლომ გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა. ბრალდადებულმა და მისმა დედამ ითხოვეს შეწყალება ამ სასჯელისა, მაგრამ იმათი თხოვნა არ იქმნა უმაღლესად შეწყნარებული. („რ. გ.“).

სამართალიც ასეთი უნდა! როგორც გიცით, ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა მოკვლა და დაჭრა ადმინისტრაციის დიდ მოხელეებისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია, ამ მოხელეების დასაცველად, ასეთ ამბების დროს დაბალი პოლიცია გაჰხადოს პასუხის მგებელად. ამ რიგად, თუ ვინმე დიდი მოხელე დასჭრეს ქუჩაში ან ყუმბარა ესროლეს, სამართალში დაბალ პოლიციელებს მისცემენ. (სდ.):

პოლიციის უფლებანი მეეზოვეებს. შემოდგომაზე დეპარტამენტში განიხილავენ საკითხს პოლიციის მოხელეთა უფლებების გავრცელების შესახებ. აზრადა აქვთ პოლიციელებს ყველგან მთელს იმპერიაში კერძო სახლების მეეზოვეებს დააკისრონ პოლიციის ვალდებულება და გაითოწყონ კიდეც ხოლმე დასახმარებლად ყოველსავე არეულობის დროს. („ნ. ც.“).

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას ამ აგვისტოში კრება ექნებათ. აზრად აქვთ დაადგინონ, რომ გადაკეთდეს ეხლანდელი სემინარიები საერო საშუალო სასწავლებლად და მიეცეთ ამ სასწავლებლის უფლებანი. („პირ. გ.“).

აგრარულმა უწესოებამ ისევ თავი იჩინა ტირასპოლის მაზრაში, მდიდარ მებატონეების დმიტრიევისა და თავ. არღუთინსკის მამულებში, სადაც გლეხები ხელს უშლიან პურის ლეწვას. ხალხის დასამშვიდებლად მაზრის ადმინისტრაცია წავიდა. მცირე მამულის პატრონები მოურიგდნენ გლეხებს და ეხლა მათ შორის უსიამოვნება აღარ არის. („რ. ს.“).

წერილები

სოფ. ჯურუყვეთი (გურია). ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“. სწორედ ჩვენზე არის გამოჭრილი. კარგა ხანია ჩვენი ქვა აღმართში მიგორავს და ეხლა დაგვეწია კიდეც. 24 ამ ივლისს, ღამის თერთმეტ საათზე, წამოვიდა კოკის პირული წვიმა და გათენებისას ადიდებული ნიაღვარი მოედო ჩვენსა და ჩვენს ახლო-მახლო სოფლებს. წაგვართვა წლის სარჩო ნაამაგევი. ეს ბეგარა ყოველ წელს აუცილებელი გახდა ჩვენთვის, მას შემდეგ, რაც სამტრედია-ბათუმს შუა რკინის გზა გაიბა და წყალს საკმაო გასასვლელი არ მისცეს. არ შეისმინეს ამდენი ხნის ჩვენი ცრემლიანი ღაღადისი. არ ვიცით, რა ვქნათ, ან ვის მივმართოთ, რომ შევიკრიბოთ და წყალს გასასვლელი ადგილი ჩვენის ხელით მივსცეთ.

დ. გ—შვილი

დ. სამტრედია. 30 ივლისს დაბა სამტრედიაში წარმოადგინეს „ჰამლეტი“ შექსპირისა, მაგრამ სცენაზე შექსპირის პიესის ნაცვლად ვნახეთ „ჰამლეტი“ ბ-ნ ნოე კანდელაკისა, რომელიც თამაშობდა ჰამლეტის როლს. ხალხს ისე შესძაგდა ნოე კანდელაკის „ჰამლეტი“, რომ ყურის გდების ნაცვლად გარედ დასეირნობდა.

სამტრედიელი.

ს. ზოგიში (ლეჩხუმი). წელს მოსავალს კარგი პირი უჩანდა, რომ ერთი თვის უწვიმობის გამო გვალვას არ გაენადგურებინა. ეხლა ისედაც წარსულ წლის მოუსვლელობით დამშეული ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. მოძრაობა აქაც დაიწყო, აქაც გაისმა ხმა ერთობისა. ჯერ უარჰყვეს მამასახლისი და სოფლის სხვა მოხელეები, რომელნიც გაიძახიან, სასოფლო ბეჭედი დაგვიჟანგდა, რადგან სამი თვეა აღარავის მოუმართავს სოფლის სასამართლოში. ივნისის პირველ რიცხვებში გლეხობამ აარჩია 12 საიმედო კაცი, რომელნიც შეუდგნენ სასოფლო საქმეების გარჩევას. ესენი თავიანთ დანიშნულებას პირნათლად ასრულებენ. არსებული ტიპი სკოლისა უარჰყო ხალხმა და მასწავლებელს იანვრიდან ჯამაგირს აღარ აძლევს. დროებით ვალდებულმა გლეხებმა გადასწყვიტეს, აღარ მისცენ ბატონს ნადელი.

გურულიშვილი

თელავი. რაც კახეთის მცხოვრებნი შეერთებულის ძალით წინააღუდგნენ ბოროტ-მოქმედებას და თავს იდვეს სათემოდ ქურდობის მოსპობა, მას აქეთ თითქმის ქურდობა მოისპო, აღარ საიდან ისმის საარაკო ამბები. ბოლო მოეღო იმ ცხადლივ ბოროტ-მოქმედებას, რომელიც ყველას თვალ-წინ ხდებოდა და ყველას შიშით ხმა ვერ ამოეღო. ბოროტ-მოქმედებამ ეხლა სხვა სახით იჩინა თავი: ეს ერთი თუ ორი კვირა იქნება ალაზნის გზაზე ხიდს აქეთ, დრო გამოშვებით, უხვდებიან მგზავრებს და არხეინად სძარცვავენ. წინადაც ხომ დილიჟანები გაძარცვეს. ერთი თუ ორი ბოროტ-მომქმედი დაიჭირეს კიდეც, მაგრამ ამით მათ მოქმედებას ბოლო არ მოეღო. დღისითაც ცხადლივ უხვდებიან და რასაც-კი მოახელებენ, არაფერს იწუნებენ: ზოგს ფულს ართმევენ, ზოგს ფარაჯასა ჰხდიან, ზოგს ქალმებს. თუ სხვა ვერაფერი მოახელეს, სანოვაგეს და სხვას ართმევენ. ამას გარდა სხვა ადგილსაც, სიღნაღის გზაზე, თელავიდან 3—4 ვერსის მანძილზე. გაძარცვეს საუფლისწულო მამულის მოხელის ნათესავი: წაართვეს ფული საათი და ორი ლაზათიანი სილაც უთავაზეს. ეხლა თითქმის მგზავრობა სახიფათოა და ისე უშიშრად ველარ დაიარებიან, როგორც წინად. მით უმეტეს ბოროტ-მომქმედნი მშვენიერ იარაღში არიან ჩამსხდარნი და მშვიდობიან მცხოვრებთ-კი არავითარი იარაღი არ მოეპოვებათ.

ამას წინად კახეთიდან ჩემ კორესპონდენციაში საჭიროდ ვცანი სასოფლო-სამეურნეო თანხით იარაღის შეძენა სასოფლოდ, რათა ასეთ და სხვა საჭირო შემთხვევაში შესძლებოდათ თავის და ქონების დაცვა, მაგრამ ვინ არის პატრონი, რომ ამისთვის იზრუნოს.

ამას წინად თელავს ესტუმრნენ ის ვაჟბატონები, რომელნიც თელავის მცხოვრებთ დაიჭირეს ბოროტ-მოქმედობაზე, ათქმევინეს ყველაფერი და უნდა ჩაექვავებინათ, მაგრამ შემდეგ გადასცეს პოლიციას—დაკარგეთ აქედან, თვალით ნუღარ დაგვანახვებთ, თორემ მეტი მოთმენა აღარ შევვიძლიანო. აქაურმა პოლიციამ იმავე დღეს გაჰგზავნა ტფილისში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ თავი დაუკრეს თელავს. ამან ძლიერ აალელვა თელაველნი და თუ ისევ აქ დაღრიალდნენ ან რამე მოხდა, მაშინ ადვილად შესაძლებელია არა სასურველი შედეგი მოჰყვეს.

დიმიტრაშვილი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 აგვისტო

პორტ-სმუტი. 2 აგვისტო. სატომ ოფიციალურად აუწყა, რომ შეთანხმება მოხდა მეორისა და მესამე პუნქტების შესახებ, რომელიც მანჯურიის გაწმენდასა, ამ პროვინციაში ყოველისავე უფლებაზე უარის თქმასა და ხარბინის სამხრეთის რკინის გზის დათმობას შეეხებიან. შემდეგი სხდომა ხვალ, დილის 9 ს. მეორე მუხლი შეიცავს ურთ-ერთ დამოკიდებულებას მანჯურიის შესახებ—ხელის აღება მანჯურიაში უპირატესობაზე, ჩინეთის ხელ-უხლებლობის დაცვა და ღია კარების პრინციპის შენახვა. მესამე მუხლი რკინის გზას ეხება ხარბინიდან სამხრეთით.

ნიუ-იორკი. თუ „ტაიმს“-ს დავუჯერებთ, იაპონია უარს იტყვის რუსის საზღვაო ძალის განსაზღვრასა და იარაღ აყრილ გემების დათმობაზე.

პორტ-სმუტი. შტრაუსის სიტყვით, ვიტტესთან ებრაელ-ბანკირების მისვლას მიზნად ჰქონდა რუსეთში ებრაელების მდგომარეობაზე სჯა-ბაასი და სრულებით არ ეხებოდა ფინანსებს. რჩევის წინ ვიტტემ განაცხადა, რომ მას არ აქვს განზრახვა ლაპარაკი იქონიოს სესხისა და, საზოგადოდ, ფულის საკითხის შესახებო.

პორტ-სმუტი, 2 აგვისტო. პირობების პირველი პუნქტი რწმუნებულებმა მიიღეს იმ განმარტებით, რაც რუსებმა შეიტანეს შიგ. დელეგატები, რომელნიც ოტელში დარჩნენ სხდომის დროს, არწმუნებდნენ ერთი მეორეს, რომ მათ ძლიერ სწადთ ზავი. იაპონელები ისე აჩქარებდნენ, რომ ვიტტე ღალავს მტრებს და ამით უნდა აიძულოს იგინი შეაწყვეტინონ მოლაპარაკებაო. რუსები კი წყრომით არღვევენ ამ ხმებს და წინადადებას აძლევიან, გამოაქვეყნონ კონფერენციის ყველა ოქმები, რათა ქვეყნიერებამ განსაჯოს, ვინაა მართალი.

პეტერბურგი. ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი დაინიშნა საგანგებო მინდობილებათა გენერლად შინაგან საქმეთა მინისტრთან.

სმოლენსკი. საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ყოფილ გუბერნატორ ზვეგინცევს. ადგილობრივ გიმნაზიებში ორი სტიპენდია დააარსეს მისს სახელზე.

პეტერბურგი. მოსკოვის გენ.-გუბერნატორი დურნოვო დაინიშნა გენ.-ადიუტანტად ხელმწიფესთან და დარჩა იმავე თანამდებობაში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 აგვისტო

ოტტავა, 1 აგვისტო. კანადის მთავრობამ მიჰპატიჟა კომურა კანადაში ზავზე მოლაპარაკების გათავების შემდეგ. კომურამ უპასუხა, რომ სიამოვნებით ესტუმრება, თუ მას ხელს არ შეუშლის სხვა გარემოებანი.

ტულონი, 1 აგვისტო. გუშინ ტულონთან წყალში ჩაუშვეს რუსებისთვის აშენებული კონტრ-ნაღმოსანი.

ადესა. გემების კამანდებში შემოიღეს საარჩევნო ინსტიტუტი, რომელიც დროებით იმოქმედებს გენ.-გუბერნატორის ნებართვამდე.

კანეია. რუსის აფიცერმა, პოლკოვნიკმა ურბანოვიჩმა რეთიმნოში საალყე მდგომარეობა გამოაცხადა; ასევე გამოაცხადა ინგლისის რაზმის უფროსმა კანეიასა და კანდიაზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 2 აგვისტო 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,80
ბერლინისაზე 100 მარკაში.	46,27½
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85¼
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	80¼ 81
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	412
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	311
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	267¾
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	--
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	208

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.) 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) **ბაქოდან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) **ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) **ქუთაისიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—24)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული გელბორდტ ლოკში

ცხოვრობს ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—14)

ავჭალაში იჯარით იძლევა

ბაღი

ექიმ მელიქოვისა, ზომით შვიდი დესეტინა. წყალი ბლომად არის. (4—240—3)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტლონის, სამჭედლო და სალესარო სამუშაოებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, იოქიევისა. (30—19)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—14)

პირველი

კუბოს მაღაზია

გიორგი კიკნაძისა.

ყველა ნაირი მოწყობილება, რაც კი ეკირვება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებთ სუფთად და იაფად. ვანქის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გვერდით. (0—14)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—16)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა მ. გ. ბაჩანაძე.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ქვანჩულოვისა	1	—

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

Доз. цен. Тифлисъ 2 Августъ 1905 г.

печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ისა